

№ 3.

ივნიანი

1920 წ.

ეროვნება

ორკვირეული საერთო ჟურნალი



ეროვნებათა კავშირის კომიტეტის ორგანო



ტფილისი.

სამხედრო სამინისტროს სტამბა.

1920



შ ი ნ ა ა რ ს ი :

	გვერდი
1) არ. ჯაჯანაშვილი — სათემო შეურენობა	1
2) ვლ. ტკარავ-ახობაძე — ერობათო ფინანსების გაუმ- ჯობესებისათვის	5
3) გ. ბენაშვილი — ავთმყოფობა თბილ. მაზრაში 1919 წ.	8
4) გ. მამაშთაგრიშვილი — სეკონლის ჭირი და მასთან ბრძოლა	18
5) კ რ ო ნ ი კ ა	25



სათემო მუშაობა.

თემი მხოლოდ ხალხის თვითმოქმედებითა და ცნობიერებით შეიძლება გაძლიერდეს. ეს არის მთავარი საძირკველი თემის კეთილდღეობისა. პრინციპიალური განსხვავება ძველ ბიუროკრატიულ და დემოკრატიულ წესწყობილებათა შორის სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ უწინ ხალხი ოპიკის ქვეშ იყო აყვანილი. აქ, ჩვენში, ფართო ასპარეზი აქვს გადაშლილი საზოგადოებრივ ინიციატივასა და თაოსნობას. მაგრამ ამ პრინციპიალურ განსხვავებას, ძველსა და ახალ მდგომარეობის შორის, ხალხი ჯერ კიდევ კარგად ვერა მხედავს. თემში ხშირად გაიფანტებოდა წუწუნს, რა მოჰხდა, რა გამოიცივალა! გუშინ მამასახლისი გვანჩხობდა, დღეს კომისარი გვანხის კისერზე; წინათ თუ ერთს კაცს ვინახავდით, ეხლა სამი კაცი უნდა შევეინახოთო. ფულებს აგროვებენ, მაგრამ რა ფულებიო, ვისთვის აგროვებენ, ვის აძლევენ, როგორ ხარჯავენ, არაფერი ვიცითო. როდესაც ერთს ამისთანა პროტესტანტთაგანს განუმარტე, რომ თემის გამგეობა, როგორც თვით ხალხის მიერ არჩეული, ხალხისავე კონტროლის ქვეშ იმყოფება და მაშასადამე, ყველას უფლება და საშუალება აქვს გამოარკვიოს და შეაფასოს მათი მოღვაწეობა, — ძალიან გაუკვირდა. ხალხი თავის თავს ისევ პასიურ ელემენტად ჰგონობს. დროთა ვითარებით ასეთი მდგომარეობა, რასაკვირველია, შეიცვლება. როდესაც წერა-კითხვის მკოდნე ხალხი უფრო ახლო გაეცნობა საქმის ვითარებას, შეითვისებს, რა არის დემოკრატიული წეს-წყობილება, დემოკრატიული ორგანიზაციები; როდესაც ჩვენი სახელმწიფოებრივი კონსტიტუცია მის მიერ სავსებით შეცნობილი იქნება, მაშინ ხალხიც მეტს აქტიურ ძალას გამოიჩენს და თვითმოქმედ ელემენტად გადაიქცევა. მაგრამ ამნაირ ფსინოლოგიურ გადატენამდე საჭიროა აღმზრდელიობითი მუშაობის წარმოება. საუკეთესო საშუალება ამ მხრით კი თვით პრაქტიკული საქმიანობაა. თვითეულ თემს აქვს მოთხოვნილებანი, რომლებიც ერთნაირია რესპუბლიკის ყველა თემისთვის. სასურსათო საქმე, მაგალითად, ყველასთვის ერთნაირად საჭირობოროტო საქმეა, რესპუბლიკის ერთს თემში თუ პური მოჭარბებულია, მეორეს აკლია იგი. სამაგიეროდ მეორე თემს მოჭარბებული აქვს ის, რაც პირველს აკლია. მაგრამ თვითოეულის მათგანს

5663



მაინც სჭირდება ბევრი რამ ისეთი, რაც თემის სასურსათო მოღვაწეობის საგნად უნდა გადაიქცეს. ამიტომ სასურსათო ოპერაციების წარმოება ბუნებრივად თემის საერთო სამეურნეო მოღვაწეობის ერთს მთავარ დარგად იქცევა ცხოვრების დღევანდელ პირობებში მაინც. მაგრამ ჩვენ არ გვინდა თემის სასურსათო ოპერაციები მარტო დღევანდელი კრიტიკული მოშენების საჭიროებებს დაუკავშირდეს და ბოლომდის შერჩეს მას ის ავადმყოფური ხასიათი, რომელსაც დღევანდელი ავადმყოფური ხანა აძლევს მას. პირიქით, ჩვენ არ გვავიწყდება, რომ დემოკრატიული ორგანიზაციები გარდამავალი ფორმებია იმ წეს-წყობილებისთვის, რომელსაც სოციალიზმი ეწოდება და რომელმაც უნდა დაამყაროს საზოგადოებრივი ორგანიზაცია შრომისა და საზოგადოებრივი განაწილება შრომის ნაყოფისა. თემში უნდა ჩაეყაროს საფუძველი ისეთს ეკონომიურსა და სამეურნეო ორგანიზაციებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ გარდაქმნას და გადაიქცევიან სოციალისტური წეს-წყობილების ადგილობრივ აპარატად. თუ ამნაირის თვალსაზრისით შევხედავთ თემის სამეურნეო ოპერაციებს, მაშინ ჩვენი გულის ყური მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ სწორე და მტკიცე ნიადაგზე დადგეს საქმე შრომის შედეგის გადაცვლისა რესპუბლიკის შიგნითვე. ჩვენ ყოველთვის დაგვჭირდება უცხოეთიდან შემოტანილი საქონელი. ეს საერთო სახელმწიფოებრივი სახრუნავი საგანია. ერობათა კავშირმა და მასთან ერთად ქალაქთა კავშირმა ცენტრალური სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის დახმარებით თავიანთ თავზე უნდა იღონ ეს უდიდესი საქმე და მიაწოდონ ერობებსა და ქალაქებს ის პროდუქტები და ნაწარმოებები, რომლებიც ჯერ-ჯერობით ჩვენში არა მზადდება. სახელმწიფოს საფუძველი ქალაქი და ერობაა. სახელმწიფოებრივ შემოქმედებასა და მნიშვნელობას მოკლებული იქნება ისეთი მოქმედება ცენტრალური აპარატისა, რომლის მოღვაწეობაც ამ მხრით არ არის მიმართული და რომელიც თავისი მოღვაწეობის დროს უპირველესად ყოვლისა რესპუბლიკის ამ ორგანიზაციებს არ დაეყრდნობა. მაგრამ ჩვენ გაცილებით მეტს მნიშვნელობას ვაძლევთ თემების საკუთარ ფართო სამეურნეო მოღვაწეობას. რესპუბლიკამ, თემებისა და ქალაქების სახით, თვითონ უნდა მოაწყოს სამეურნეო და სამრეწველო დაწესებულებანი, თითონ გააუმჯობესოს ერთის მხრით მეურნეობა, მეორეს მხრით წარმოება და, რაიცა ყველაზე უმთავრესია, მოაწყოს შინაგანი გადაცვლა ნაწარმოებისა. ადგილობრივი სამეურნეო და სამრეწველო საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნა და მათი დაკავშირება განსაზღვრული

საზოგადოებრივი მიზნის განსახორციელებლად, — აი, რანაირი უნდა იყოს საერთო მიზანი თემებში და თემების გარშემო მომჭრევე დემოკრატიისა.

ამ საერთო მიზნებს გარდა, თვითეულ თემს თავისი საკუთარი ადგილობრივი ინტერესები და საჭიროებანი აქვს. ეს საჭიროებანი უპირველესად ყოვლისა საკუთარის ძალ-ღონითა და საკუთარის თაოსნობით უნდა დაკმაყოფილდეს. სახელმწიფოებრივი დახმარება აქაც არის შესაძლებელი, მაგრამ უმთავრესი მომქმედი პირი მაინც თვით თემი უნდა იყოს. ჩვენ თემების ამ ადგილობრივი ხასიათის მუშაობას უდიდეს მნიშვნელობას ვაძლევთ. ეს ჰხდება არა მარტო იმიტომ, რომ ამნაირის საშუალებით იქმნება ახალი მატერიალური ღირებულება, არამედ უფრო მეტათ იმიტომ, რომ ადგილობრივი მოთხოვნილება თემის მცხოვრებთათვის უფრო მტკივნეულია და შისი დროული და რიგიანი დაკმაყოფილება დიდ ხალისიანობას აძლევს მცხოვრებთა საზოგადოებრივ საქმიანობას. რომელიმე თემში კარგი წისქვილის გაკეთება არამც თუ მოგებას მისცემს თემს და სარგებლობას მოუტანს ხალხს, არამედ უფრო მეტად აღზრდის მის საზოგადოებრივ ინსტინქტს, რაიცა ჩვენთვის წისქვილის მატერიალურ ღირებულებაზე უფრო ძვირფასია.

დაწვირილებითი პროგრამის დაწერა იმისი, თუ რომელ თემში რანაირი სამეურნეო ორგანიზაციები უნდა გაძლიერდეს, — ყოვლად შეუძლებელია. ჩვენი ქვეყანა, საბედნიეროდ, მრავალ-ფეროვანი მეურნეობის ქვეყანაა. ერთს რაიონში მეურნეობის ერთს დარგს უნდა მიექცეს ყურადღება, მეორე რაიონში — მეორეს. მაგრამ მაგალითისთვის ავიღებთ საქართველოს ორს კუთხეს — კახეთს, როგორც უპირველესად ყოვლისა მღვინებისა და მევენახეობის რაიონს და ქართლის ზოგიერთ ადგილს, როგორც მეხილეობისა და მებაღეობის რაიონს. კახეთი მღვინეობის ქვეყანაა. ჩვენ დაინტერესებული არა ვართ, რომ ეს დარგი მეურნეობისა მოისპოს. პირობები კი ისეთია შექმნილი, რომ მევენახეობა ძალიან დიდს განსაცდელში ჩავარდება, თუ საზოგადოებრივი ენერჯია არ ამოძრავდა. ავიღოთ თუნდაც ისეთი უბრალო წმინდა ტექნიკური საშუალება, როგორიცაა ღვინის დაყენება და შენახვა. ლატიფუნდიები და დიდი მამულები ჩვენში, თანახმად ცხოვრებაში გატარებული აგრარული რეფორმისა, მოისპო. მაშასადამე, მოისპო ის საშუალებაც, რომლითაც იქმნებოდა მღვინეობისთვის საჭირო რთული აპარატი. თუ ჩვენ არ გვინდა ეს დარგი მეურნეობისა თავის პირველყოფილ სახეს დაუბრუნდეს, ეხლავე უნდა ჩაუყაროთ საფუძველი სათანადო აპარატს და საზოგადოებრივი დაწესებულებების შექმნით ავინახლაუროთ ის დანაკლისი,

რომელიც აუცილებლად მოჰყვა დიდი კერძო მეურნეობის დანგრევას. დღევანდელ პირობებში თვითეული პატარა მეურნე იძულებული ჰხდება საკუთარის ძალ-ღონით გაუძღვეს ყველა საჭიროებას და თითონვე, ასე ვსთქვათ, დააბინაოს თავისი მოსაველი. ქურჭლისა და სათანადო შენობის უქონლობის გამო იგი იძულებული ჰხდება ან ვადაზე ადრე გაჰყიდოს მოსაველი, ან ისეთს პირობებში შეინახოს ღვინო, რომელშიც არც ერთი გოხიერი მეურნე არ შეინახავდა. ამისთანა შემთხვევებში შეიძლება პოპულიარული გახდეს იდეა სათემო მარნის აშენებისა, თანახმად ტენიკის უკანასკნელი მოთხოვნილებისა. პურის რაიონებში ამის ნაცვლად უფრო პოპულიარული იქნება იდეა სათემო ბელღებისა. ქართლის ხილის რაიონები შეიძლება შეიქმნას რთული რიგი ისეთი დაწესებულებებისა, რომლებიც მეურნეობას დაეხმარებიან ნაწარმოების უკეთესად დამუშავებაში. მაგალითად ელექტრონის საშუალებით ჩირის დამზადება გაცილებით უფრო მეტს ნაყოფს გამოიღებდა და უფრო უკეთესად მოხდებოდა ხილის განადგება. როგორც ზევითაც ვსთქვით, დაწვრილებით საუბარი ამ საგანზე ამ წესებით არ შეიძლება. ეს უფრო სპეციალისტების საქმეა; სპეციალური გამოკვლევით უნდა შემუშავდეს სათანადო სამოქმედო პროგრამა ამა თუ იმ რაიონის თემისთვის მაგრამ, როგორც საზოგადო ზომა, მაინც არავისში არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

დღეს მარტო ერთი დიდი მეურნე დარჩა—სახელმწიფო. კერძო მეურნეობა დაპატარავდა, დავიდა იმ ნორმამდე, რომელიც საჭიროა ერთი კაცის ოჯახის გამოსაკვებად. ბევრგან მიწის მფლობელობას ამ ნორმამდე არც კი მიუღწევია. შემდეგშიაც არავინ იცის, აღმოჩნდება თუ არა იმდენი ვარჯისი მიწა, რომ შესაძლებელი გაჰხდეს მფლობელობის ამ ნორმამდე მიყვანა ყველა მიწის მუშისა. მეურნის შემცირებული მფლობელობის ადგილი უნდა დაიჭიროს მეურნეობის გაუმჯობესებამ. ინტენსიური, გაუმჯობესებული მეურნეობა კი დიდს ხარჯს თხოულობს. ჩვენი დროის სოფლის მეურნეს ასეთი თანხები არა აქვს. ამიტომ აუცილებლად საჭიროა ამოძრავდეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია და თემში შეიქმნას ისეთი დაწესებულებანი, რომელნიც საშუალებას მისცემენ სოფლის მეურნეს ინტენსიური მეურნეობა აწარმოვოს.

რაც უფრო მალე დაიწყება ასეთი პრაქტიკული შემოქმედებითი მუშაობა სოფლად, მით უფრო მეტის ნდობით აღიჭურვება ხალხი ერობისადმი და მით უფრო მეტად შეიყვარებს თემს, როგორც თავის საზოგადოებრივ ორგანიზაციას. ხალხმა უნდა დაანახოს, რომ თემი არამც

თუ მარტო გადასახადებს ახდევინებს და მერე ამ გადასახადებს თემი შტატის ჯამაგიერებზე ხარჯავს, არამედ მან უნდა დაინახოს, რომ გადასახადები თემის საერთო საჭიროებებს ჰხმარდება. ხალხი ბრძენია და ღონიერი. იგი მაშინ აღარც გადასახადებს შეუშინდება და თემსაც შეიყვარებს. იგი იგრძნობს მაშინ, რომ ძალა ერთობაშია და ეს ბუნება კი უპირველესი საფუძველი და საწინდარია მომავალი განახლებული ცხოვრებისა.

არ. ჯაჯანაშვილი.

პრობათა ფინანსების გაუმჯობესებისათვის.

დამფუძნებელ კრებას ერთი ახალი კანონ-პროექტი წარუდგინა ფინანსთა სამინისტრომ — კანონ-პროექტი „პირდაპირი გადასახადების აკრების ზოგიერთი ცვლილებები“-ს შესახებ. ეს სათაური თითქმის უმნიშვნელოა. მაგრამ ამ პროექტს არსებითად მრავალი ყურადღებები შესწორება შეაქვს აწ არსებულ კანონებში და ბევრგან სრულიად ახალ გეზსაც არკვევს პირდაპირი გადასახადების სისტემაში.

პირდაპირი გადასახადების არც ერთი დარგი არ არის უყურადღებოდ დატოვებული ამ პროექტში, ყველგან შეტანილია ცვლილება — ზოგჯერ არსებითი ხასიათისა, ზოგან კი — მცირე.

მიწის გადასახადი, სამრეწველო გადასახადი, სხვა და სხვა გვარი ხარკი — კერძოდ სამემკვიდრეო გადასახადი, შემდეგ საღებო ხარჯი, გადასახადი სპეციალ მიმდინარე ანგარიშებზე, ერობათა მონაწილეობა პირდაპირ გადასახადებში და მეტად საინტერესო საკითხი საფინანსო მართვა-გამგეობის ზოგიერთ ორგანოების რეკონსტრუქციის შესახებ — ყოველივე ეს კანონ-პროექტის ყურადღების საგანს შეადგენს და გარკვეულია არა მარტო შემოსავლიანობის მხრით, არამედ საერთო სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის თვალსაზრისითაც.

ამ ჟამად ჩვენ გვეინტერესება, თუ რას შესძენს ახალი კანონი ერობებს, რა შედეგებს მისცემს ერობებს ამ კანონის განხორციელება და შეუძლიათ თუ არა ერობებს ამ შედეგების იმედით უფრო გაბედულად ააშენონ თავისი ხარჯ-აღრიცხვა?

კანონ-პროექტი დიდის სიფრთხილით ეპყრობა ერობების ფინანსიურ ინტერესებს—აბუჩად არ არის აღებული ეს ინტერესები. დღევანდლამდე გაურკვეველია საკითხი სახელმწიფო და ადგილობრივი ხასიათის დაბეგვრის გამიჯვნისა (პირდაპირი გადასახადის სფეროში). თეორიულად უფრო სამართლიანი უნდა იყოს სახელმწიფო პირდაპირი გადასახადების გაერთიანება—შემოსავლის და ქონების მიხედვით. ამავე დროს ერობებს და ქალაქებს უფლება უნდა ჰქონდეს დააწესოს გადასახადი შემოსავლისა და ქონების ცალკ-ცალკე კატეგორიებზე—მიწაზე, შენობებზე, სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებზე და სხვა. ადგილობრივი თვითმართველობანი უკეთ იცნობენ ადგილობრივსავე ეკონომიურსა და საერთოდ ცხოვრების პირობებს, უკეთ იციან, თუ რამდენად შესწევს ძალა გადასახადის შემტანს თავისი მოვალეობის მოსახდელად.*)

მაგრამ ამ საქმის განხორციელება თეორიის მიხედვით თითქმის შეუძლებელია. ამას ბევრი მიზეზი აქვს და პირველი ის არის, რომ ჯერ სავსებით დამთავრებული არ არის, საერობო აპარატის ორგანიზაცია. ამიტომაც არის, რომ დღეს დღეობით უნდა მივიღოთ ის, რასაც კანონ-პროექტი გვაძლევს: ერობებს ეძლევა ნაწილი უმთავრესი გადასახადებიდან, უქმდება განსაკუთრებული სახაზინო და საერობო ბეგარა. ეს გადასახადის შემტანსაც შევებას აძლევს და ხაზინას და სხვა საფინანსო დაწესებულებასაც საქმეს უადვილებს.

კანონ-პროექტის ძალით ერობებს ეძლევა 50% მიწის გადასახადებიდან და 20% სიმოსახლეო გადასახადებიდან, იმის მიხედვით თუ რამდენად ახლოსა სდგას და რამდენად დაინტერესებულია თვით ერობა დაბეგრილით.

კანონ-პროექტი ერობებს აკისრებს მიწების დასაბეგრავად შეფასებას და გადასახადთა განაწილებას. და რადგანაც კანონ-პროექტი ჰგულისხმობს, რომ ერობებს სათანადოდ მომზადებული და მოწყობილი აპარატი არ გააჩნიათ, ამიტომ ფინანსთა სამინისტროს ორგანოებს აძლევს მათ დამხმარეთ: მაგალითად, გადასახადთა რაოდენობის გარკვევის და გაწერვის დროს სამაზრო ერობების გამგეობათა და თემების მუშაობაში უსათუოდ უნდა მონაწილეობდეს ადგილობრივი გადასახადთა ინსპექტორი.

კანონ-პროექტს მიწის გადასახადთა აკრეფის საქმეშიც ცვლილება

*) იხ. ეურნალი „ერობა და ქალაქი“ (№ 4, 5) ჩვენი წერილები: „ადგილობრივი მართველობა. საბიუჯეტო უფლებანი „სად არის ხსნა?“

შეაქვს. გადასახადის შემტანნი უფრო დიდ ერთეულებად არიან შეჯგუფებულნი—მაგალით., სოფელი. რადგანაც სამინისტროს ამ ეამად არ მოეპოვება დაწვრილებითი ცნობები მიწების ფაქტიური განაწილების, დაყორღნის და საერთოდ მომხდარი მობილიზაციის შესახებ და არც ხარჯთამკრეფ ინსპექციას აქვს საშუალება ცალკე მესაკუთრის დაბეგრილი მიწის რეგისტრაციისა, ამიტომ მიწის გადასახადი მთელ სოფელს ეწერება. თემი ან, თუ თემი არ არსებობს ჯერ, სოფლის ყრილობა თვითონ ანაწილებს სოფელზე გაწერილ გადასახადს მათ შორის, ვინც სოფლის მიწითა სარგებლობს.

გადასახადის გაწერვას თვალ ყურს აღევნებს სამაზრო ერობის გამგეობა. მასვე დაკისრებული აქვს გადასახადთა გაწერვის უწყებათა დამტკიცება. ამ გაწერით უკმაყოფილოს უფლება აქვს განასაჩივროს იგი სამაზრო ერობის გამგეობაში, რომელსაც უფლება აქვს გააუქმოს დადგენილება, თუ მომჩივანის მოსაზრებებს სამართლიანად მიიჩნევს, და დაავალოს თემს ახალი დადგენილების წარმოდგენა. გარდა ამისა თვით სამაზრო ერობასაც აქვს უფლება არ დაეთანხმოს წარმოდგენილ დადგენილებას და დაუბრუნოს თემსა და სოფლის ყრილობას ახალი დადგენილების შესადგენად თანახმად სამაზრო ერობის გამგეობის შენიშვნებისა. თემს და სოფლის ყრილობასაც აქვს უფლება არ დაეთანხმოს სამაზრო ერობის გამგეობას, და ამ შემთხვევაში იგინი სენატს მიჰმართავენ. ამას გარდა თემს უფლება აქვს თავისი მოსაზრებები წარუდგინოს სამაზრო ერობას მიწების აღრიცხვისა და დაბეგრვის შესახებ. ეს მოსაზრებები უნდა განიხილოს და საბოლოოდ გადასწყვიტოს სამაზრო ერობამ.

მიწის გადასახადის სისტემის რეფორმად უნდა ჩაითვალოს ის, რომ კანონ-პროექტით სრულიად ისპობა ხარკი, მიწის ბეგარა (ობრიკხ). ამიერიდან კანონ-პროექტით ყველას ერთგვარი მიწის გადასახადი უნდა შეეწეროს. გამონაკლის შეადგენს მხოლოდ ის მიწები, რომელნიც ხაზინის პირდაპირ განკარგულებაში არიან და ან სახელმწიფო ფონდს შეადგენენ.

ეს მხარე თითქოს ერობათა ინტერესებს ჰლახავს. მაგრამ კანონ-პროექტი აქაც ერობათა სასარგებლოდა ხწყვეტს საკითხსა. ძველი საერობო მიწის გადასახადის მაგიერ ერობას უფლება ენიჭება დააწესოს თავის სასარგებლოდ სახაზინო და ფონდის მიწებზე ერთგვარი ბაჟი, რომელიც არას გზით არ უნდა იყოს დაკავშირებული საზოგადო მიწის გადასახადთან.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს გადასახადთა რაოდენობა. წარსული წლის ეკონომიური პირობების მიხედვით (მოუსავლობა და სხვ.) ფინანსთა სამინისტროს შესაძლებლად უცვნია მიწის წმინდა შემოსავლის მიხედვით გარდასახადის 3% — 6% -მდე გადიდება. თუ ქალაქის უძრავ ქონებათა გადასახადს მივიღებთ მხედველობაში ან სავაჭრო დაწესებულებათა გადასახადის რაოდენობას (წმინდა შემოსავლის 20%), მაშინ ზემოდ მოყვანილი პროცენტი არც თუ ძლიერ დიდად უნდა ჩაითვალოს. ახალი გადასახადია შემოღებული საძოვარსა და ბუჩქნარებზე. რამოდენადმე გაძლიერებულია გადასახადი ვენახებზე და ხილის ბაღებზე. მაგრამ ეს გადიდებაც ბევრ კამათს არ გამოიწვევს—იმდენად უმნიშვნელო უნდა იყოს იგი.

კანონ-პროექტი ავრცელებს საწარმოვო გადასახადს აგრეთვე ხელოვნობაზე, ჩაღანდრობაზე და საგლეხო წარმოებაზე, თუ ამ წარმოებაში დაბანდებული არის ოჯახის წევრები და რამდენიმე მუშა. გადასახადი ეწერება აგრედვე ყოველგვარ სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებას, თუ იგი საკუთარს იჯარით აღებულ მიწაზე არის აშენებული მიწის მოსავლის დასამუშავებლად. ასეთი დაწესებულებებია, მაგ., აჭურის, კრამიტის და სხვ. ქარხანა, ზეთის გამოსახადი, ყველის, სახერხი ქარხანა, წისქვილი და სხვ..

ამ რეფორმის შემოსავალი ნავარაუდები არის 200 მილ. მანეთი. მაშასადამე ერობებს ამ მხრივ შეეძინებათ 100 მილიონი მანეთი, რაც, თავის თავად ცხადია, ერობათა ბიუჯეტს შესამჩნევ კვალს დაატყობს.

გლ. ტახოვ-ასობაძე

ავადგუოფობა თბილისის მაზრაში 1919 წელს.

თბილისის მაზრა დაყოფილია 9 სამკურნალო უბნად. ყველა სამკურნელო უბანში არსებობს ქსენონი და აფთიაქი. სამკურნალო უბნების და თემების საზღვრები თანხვდებიან, გარდა გარეუბნის თემისა

რომელშიაც ორი სამკურნალო უბანი შედის. სამკურნალო უბნების სიგრძის და მცხოვრებთა რიცხვის მხრივ მაზრა დაყოფილია ასე:

ალბულაღის თემი	506,30	ოთხკუთხი ვერსი	14148	სული	
მანგლისის თემი	330,60	"	"	11450 "	
ასურეთის თემი	284,88	"	"	9517 "	
მარტყოფის თემი	336,36	"	"	11932 "	
სართიჭალის თემი	511,16	"	"	11521 "	
საგარეჯოს თემი	196,16	"	"	9583 "	
ყარაიაზის თემი	1259,00	"	"	10084 "	
გარეუბნის თემი	დილომი	270,88	"	"	5644 "
	აეკალა	270,88	"	"	5644 "

ს უ ლ . . 3966,22 ოთხკუთხი ვერსი 89523 სული

ამ გვარად მაზრაში თითო საექიმო პუნქტზე საშუალოდ მოდის 440,69 ოთხკუთხედი ვერსი, და 9947 სული მცხოვრები.

მანგლისისა და გარეუბნის თემებში საექიმო პუნქტების გარდა მოწყობილია თითო საფერშლო პუნქტი: მანგლისის თემში-სეფელ პრიუტში, და გარეუბნის თემში სოფ. ხატის თელეთში. სართიჭალის თემში მოწყობილია ორი საფერშლო პუნქტი სოფ. პატარძეულში და ხაშში. საექიმო პუნქტებთან იხსნება საავადმყოფოები,—ამ უამად უკვე მოქმედობს 6 საავადმყოფო: საგარეჯოსა, სართიჭალის, ალბულაღის, მანგლისის, ყარაიაზის და გარეუბნის თემებში.

საწოლთა რიცხვი საავადმყოფოებში ჯერ დანამდვილებით გამოკვეული არ არის.

მაზრის 1919 წ. სანიტარული მდგომარეობის გამოსარკვევად ვსარგებლობთ ამბულატორიების ორკვირეული ცნობებით ავადმყოფობათა მსვლელობის შესახებ. ამ ცნობების მოწოდება სათანადო ფორმით ამბულატორიებმა ცოტად თუ ბევრად რეგულიარულად მხოლოდ იენისიდან დაიწყეს. ამ დრომდე კი ეს ცნობები ამბულატორიებიდან სხვა და სხვა ფორმებით მოდიოდა, რადგანაც ცნობები ამ დრომდე სრული არ არის და ყოველი თვის განმავლობაში აკლია ცნობები ამა თუ იმ რაიონიდან, ჩვენ საშუალება არა გვაქვს შევადაროთ თემებში ავადმყოფობათა მსვლელობის წლიური ჯამები მთელ მაზრაში. სავსე ცნობები გვაქვს მხოლოდ უკანასკნელ სამი თვისა, და მხოლოდ ამ სამი თვის ცნობების შედარება შეიძლება მაზრის ყველა თემებში.

1919 წლის იანვრის განმავლობაში ავადმყოფობათა მსვლელობის შესახებ ორკვირეული ცნობები მივიღეთ მხოლოდ სართიქალის რაიონიდან და ისიც თვის მეორე ნახევრის შესახებ. თებერვლის განმავლობაში ცნობები მიღებულია სართიქალისა, მარტყოფისა და გარეუბნის რაიონებიდან.

ამ თვეში ყველა ავადმყოფობაზე მეტად გავრცელებული იყო პარტახტიანი ტიფი მეტადრე სართიქალის თემში (232 შემთხვევა), ნაკლებად მარტყოფის თემში (166 შემთხვევა) და გარე უბანში (66).

სხვა ავადმყოფობათაგან ყურადღებას იქცევს მალარია საგარეჯოს თემში (35 შემთხვევა), და ინფლუენცა-მარტყოფის (64) და გარე უბნის (92) თემებში.

მარტის განმავლობაში მხოლოდ ორი რაიონიდან არის მიღებული ცნობები. წინა თვესთან შედარებით პარტახტიანი ტიფის ეპიდემიას შესაძინევად უკლია სართი ქალის თემში (232-დან) დაეცა 162-ამდე). მალარიით დაავადებულთა რიცხვი ამ რაიონში წინა თვესთან შედარებით რამდენადმე მეტია (53-დან 60-ამდე).

აპრილის ცნობები ავადმყოფობათა მსვლელობის შესახებ ექვსი რაიონიდანა გვაქვს. ამ თვის განმავლობაში პარტახტიანი ტიფის ეპიდემია წინა თვეებთან შედარებით კლებულობს სართიქალის თემში მაგრამ მეტად მძვინვარებს შარტყოფის თემში. ინფლუენცა გავრცელებულია გარეუბნის (33) და აღბულალის (24) თემებში მალარიას თუმცა დაუკლია სართიქალის თემში მაგრამ მაინც საგრძნობი რიცხვია ნაჩვენები (30). მარტყოფის თემში ტიფის ეპიდემიის გარდა ყურადღებას იქცევს მუცელი (31).

მაისის შესახებ ცნობები ავადმყოფობათა მსვლელობაზე შეიდი რაიონიდან არის მიღებული. პარტახტიანი ტიფის ეპიდემიას ძალიან უკლია სართიქალის და საგარეჯოს თემებში. მარტყოფის თემშიც უკლია, მაგრამ ავადმყოფთა რიცხვი მაინც დიდია (211), დანარჩენ თემებში პარტახტიანი ტიფის ეპიდემია მატულობს. სხვა ავადმყოფობათაგან ყურადღებას იქცევს ინფლუენცა, რომლის საგრძნობი რიცხვი აღნიშნულია გარეუბნის თემში (71). მალარია ამ თვეში სართიქალის, მარტყოფის, გარეუბნის, ყარაიზის და ასურეთის თემშია იღნიშნული. მარტყოფის თემში მუცელას წინა თვესთან შედარებით უკლია (31-13).

ივნისიდან ცნობები ავადმყოფობათა მსვლელობის შესახებ თითქმის რეგულიარულად მოდის, თუ მხედველობაში არ მოვიღებთ ამა თუ იმ თემის გამონაკლისს.

იენისში, პარტახტიანი ტიფის ეპიდემია კლებულობს, მაგრამ მარტყოფის რაიონში ამ სენით დაავადებულთა რიცხვი (155). მაინც დღეობს. შესამჩნევად იზრდება მალარიით დაავადებულთა რიცხვი. ამ თვეშივე ყურადღებას იქცევს კანის (მუნის) ავადმყოფობის შესახებ მოყვანილი საკმაოდ დიდი რიცხვი.

ივლისში ცნობები მიღებულია ყველა რაიონებიდან საგარეჯოს გარდა. ამ თვეში პარტახტიანი ტიფით დაავადებას თითქმის შემთხვევითი ხასიათი აქვს. საგრძნობი რიცხვია მოყვანილი მალარიით დაავადებისა თითქმის ყველა რაიონებში. ამის გარდა ყურადღებას იქცევს გარეუბანსა და ალბულაღში გავრცელებული კანის ავადმყოფობა (მუნი).

აგვისტოში ცნობები მიღებულია ყველა რაიონებიდან და მიღებული ცნობების შედარება უკვე ადვილია. ამ თვეში პარტახტიანი ტიფით დაავადებას თითქმის ისევ შემთხვევითი ხასიათი აქვს. მალარია მძვინვარებს ყველა თემებში, მეტადრე საგარეჯოს თემში, სადაც 489 შემთხვევა არის აღნიშნული. ალბულაღსა, ასურეთსა და გარეუბანის თემებში მალარიით დაავადებულთა რიცხვი თითქმის ერთ დონეზედა სდგას. (გარეუბანში—143, ასურეთში—142 და ალბულაღში—125) დანარჩენ სამ თემში სართიქალაში, მარტყოფში და ყარაიაზში დაავადებულთა რიცხვებს არა აქვს ერთმანეთთან დიდი განსხვავება, მხოლოდ ეს რიცხვები გაცილებით ნაკლებია. (სართიქალის თემში—49, მარტყოფის—57 და ყარაიაზი—60) აღსანიშნავია მუცელით დაავადება ასურეთის თემში (471) და საგარეჯოს თემში (22).

სექტემბრის ცნობები მიღებულია ალბულაღის გარდა ყველა რაიონებიდან. ამ თვეში პარტახტიანი ტიფის ეპიდემია სრულიად მიყუჩებულად უნდა ჩაითვალოს. მალარიით დაავადება უდიდეს რიცხვს აღწევს საგარეჯოს თემში სადაც 837 შემთხვევა არის აღნიშნული, —ყარაიაზის თემში აღნიშნულია 379 შემთხვევა. სხვა თემებში მალარიით დაავადებულთა რიცხვი თუმცა გაცილებით ნაკლებია, მაგრამ წინა თვეებთან შედარებით შესამჩნევად გაზრდილა. ამ თვეშივე აღსანიშნავია მუცელი საგარეჯოს (58) და ასურეთის (55) თემებში და კანის ავადმყოფობა (მუნი) საგარეჯოს თემში (46).

ოქტომბრის განმავლობაში პარტახტიანი ტიფის ეპიდემია მოსპობილია, —დაავადება თვითეული შემთხვევის ხასიათისა არის. მძვინვარებს

მაღარია მეტადრე საგარეჯოს (756) და ყარაიაზის (595) თემებში ნაკლებათ და თითქმის თანაბრათ არის გავრცელებული იგი სართიქალის (162), მარტყოფის (132), გარეუბანის (147) ასურეთის (114) თემებში, გაცილებით ნაკლებია აღბულალის (22) და მანგლისის (30) თემებში. მუცელა ამ თვეში ყურადღებას იქცევს საგარეჯოს (47) და ასურეთის (26) თემებში. ამ თვეში გავრცელებულია აგრეთვე კანის ავადმყოფობა თითქმის ყველა თემებში გარდა სართიქალისა და გარეუბნისა, სადაც შედარებით ავადმყოფობა ნაკლებია: სართიქალის ოემში (9) და გარეუბანში (13).

ნოემბრის ცნობები ავადმყოფობათა მსვლელობისა აგრეთვე ყველა რაიონებიდან არის მიღებული. ნოემბერში უნდა აღინიშნოს შექცევითი ტიფი, რომელიც აღბულალში საგრძნობ რიცხვს იძლევა (85 შემთხვევა). მაღარია გავრცელებულია ისევ ყველა თემებში. გარეუბანსა და ასურეთის თემებში მაღარია წინა თვეებთან შედარებით უმაღლეს რიცხვამდე აღწევს გარეუბანში—207, ასურეთში—451 საგარეჯოს თემში მუცელა ისევ იმ რიცხვს იძლევა, როგორც წინა თვეში (48). კანის ავადმყოფობა საგრძნობ რიცხვებს იძლევა: საგარეჯო—38, ყარაიაზში—54, და მანგლისში—26.

დეკემბერში საგარეჯოს რაიონში პარტახტიანი ტიფით დაავადებულთა რიცხვს უმატნია (50). მაღარია ისევ ისე გავრცელებულია ყველა თემებში მეტად კი საგარეჯოში (301) და ყაზარაიაზში (389) მუცელას საგარეჯოს რაიონში უკლია (23). ყურადღებას იქცევს კანის ავადმყოფობა: დაავადებულთა რიცხვი აღწევს საგარეჯოს თემში—78-ს, და მარტყოფისა—84-ს.

ცნობების უქონლობა სხვა და სხვა რაიონებიდან რამდენიმე თვის განმავლობაში შეუძლებლად ხდის ავადმყოფობათა მსვლელობის სრული წლიური ჯამის გამოყვანას, მაგრამ ამ მასალების საშვალეებით მაინც შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ დაახლოვებით ავადმყოფობათა მსვლელობის საერთო რიცხვი ერობის ამბულატორიებში.

მოგყვავს ავადმყოფთა საერთო რიცხვი ყოველ თვიურად ცალკე თემებში, ამოკრეფილი ამბულატორიების ორკვირეული ცნობების მასალებიდან.

როგორც ამ ცხრილიდან სჩანს დღიური საშუალო რიცხვები წლის პირველ ნახევარში მეტადრე იმ თვეებში სადაც ცნობები მეტი გვაქვს ერთმანეროში დიდად არ განსხვავდებიან გაცილებით ნაკლები ცნობები გვაქვს პირველ სამ თვეში და დღიურს რიცხვებსაც მეტი განსხვავება აქვთ, ვიდრე შემდეგი სამი თვის რიცხვებს, რადგანაც უკანასკნელი ცნობები უფრო სრული გვაქვს, ამიტომ შეცდომა არ იქნება თუ საშუალო დღიურ რიცხვს გავამრავლებთ იმ დღეთა რაოდენობაზე, როდესაც ცნობები გვაკლია, და მიღებულ რიცხვს მივუმატებთ წლის პირველ ნახევარს ჯამს, ამ გზით მივიღებთ ავადმყოფობათა მსვლელობის წლის პირველი ნახევრის დაახლოვებით რიცხვს.

წლის მეორე ნახევარის საშუალო დღიური რიცხვები დიდად განსხვავდებიან წლის პირველ ნახევრის საშუალო რიცხვებისაგან. ამ თვეებში ცნობები გვაკლია, მხოლოდ ალბუღალის რაიონში-სექტემბრისა და საგარეჯოს რაიონში-ივლისისა, წლის მეორე ნახევრის დაავადებულთა საერთო ჯამის მისაღებათ უნდა იყოს გამოანგარიშებული ეს ორი რიცხვი, ამისთვის ჩვენ ვიღებთ ორ უახლოეს თვის ჯამს და ვყოფთ ორათ, რადგანაც პირველ შემთხვევაში ალბუღალს თემში ავადმყოფობათა რიცხვი თან და თან იზრდება არა მარტო შემდეგ თვეში, არამედ შემდეგ უახლოეს თვეებშიაც; მეორე შემთხვევაში კი საგარეჯოში ავადმყოფობათა რიცხვს შემდეგ უახლოეს თვეებში ცოტად თუ ბევრათ მულმივობა ემჩნევა. ამნაირად მიღებული დაახლოვებითი რიცხვები იქნება, საგარეჯოს თემში, ივლისისათვის 459, და ალბუღალის თემში, სექტემბრისათვის—364. ამ ორი რიცხვის მიმატებით შესდგება წლის მეორე ნახევრის საერთო ჯამი. ბოლოს, წლის პირველი და მეორე ნახევრის ჯამის მიმატებით მივიღებთ საერთოდ დაავადებულთა წლიური ჯამი, ეს გამოანგარიშებული რიცხვი უდრის 34732.

ყოველთვიური განხილვა ორკვირეული სანიტარული მასალებისა ცალკე თემებში, გვიჩვენებს, რომ წარსული წლის განმავლობაში თბილისის მაზრაში ყველაზე მეტად მძვინვარებდა პარტახტიანი ტიფის ეპიდემია და მალარია.

როგორ იყო გავრცელებული პარტახტიანი ტიფი მაზრაში, სჩანს შემდეგი ცხრილიდან:

პარტახტიანი ტიფით დაავადება.

	მანგლისი	აღბულა- ლი	გარეუბა- ნი	ასურეთი	მარტყ.	სართიქ.	საგარეჯ.	ყარაიში
იანვარი	—	—	—	—	—	34	—	—
თებერვალი	—	—	66	—	166	232	—	—
მარტი	—	71	—	—	—	162	—	—
აპრილი	—	62	18	—	382	75	93	1
მაისი	—	109	74	5	211	32	40	17
ივნისი	—	54	57	3	155	15	37	1
ივლისი	57	17	23	3	10	9	—	1
აგვისტო	24	4	17	—	35	9	11	—
სექტემბერი	9	—	4	—	10	3	3	—
ოქტომბერი	—	—	1	—	5	7	1	—
ნოემბერი	—	—	3	—	5	1	15	—
დეკემბერი	—	—	—	1	9	14	50	—
ს უ ლ.	90	317	263	12	978	583	250	20

პარტახტიანი ტიფი გავრცელებული ყოფილა ყველაზედ მეტად თებერვლიდან მკათათვემდის, საგარეჯოს, სართიქალის, მარტყოფის და აღბულალის რაიონებში. უმაღლეს რიცხვს პარტახტიანი ტიფი საგარეჯოს თემში აღწევს აპრილში (93), სართიქალაში — თებერვალში (232), მარტყოფში — აპრილში (382), და აღბულალში — მაისში (109). უმაღლეს რიცხვამდის მთელ მაზრასთან შედარებით მიუღწევია პარტახტიან ტიფს მარტყოფის რაიონში. წლის მეორე ნახევარში პარტახტიანი ტიფი შესამჩნევად კლებულობს და ბოლო თვეებში თვითეული შემთხვევის ხასიათი-ღა აქვს. მხოლოდ საგარეჯოს რაიონში დეკემბერში ამ სენით ავადმყოფთა რიცხვს უმატნია (50 შემთხვევა).

მალარიით დაავადების სურათს მაზრაში იძლევა შემდეგი ცხრილი:

	მანგლისი	აღბულაღი	გარეუბანი	ასურეთი	მარტყ.	სართობ.	საგარეჯ.	ყარაიანი
იანვარი	—	—	—	—	—	7	—	—
თებერვალი	—	—	—	—	—	53	—	—
მარტი	—	—	—	—	—	60	—	—
აპრილი	—	—	7	—	—	30	—	11
მაისი	—	—	33	21	18	7	—	22
ივნისი	—	—	79	39	50	8	69	44
ივლისი	2	35	91	36	49	49	—	58
აგვისტო	12	125	143	142	57	49	489	60
სექტემბერი	20	—	131	174	114	—	837	379
ოქტომბერი	30	22	147	114	132	162	756	595
ნოემბერი	44	22	207	451	53	22	416	92
დეკემბერი	10	27	49	28	47	44	301	389
ს უ ლ .	118	231	887	1005	520	891	2868	1650

მალარიით დაავადების უდიდესი რიცხვები აღნიშნულია საგარეჯოს და ყარაიანის რაიონებში. საგარეჯოს რაიონში სექტემბერში მალარიით დაავადებულთა რიცხვი უდრის 837, ყარაიანის რაიონში—ოქტომბერში უდრის—595. მალარია ძლიერ გავრცელებული ყოფილა წლის მეორე ნახევარში,—მეტადრე აგვისტოდან ყველა რაიონებზე ნაკლებ რიცხვებს მალარიით დაავადებისას იძლევა მანგლისის თემი.

მოვიყვანოთ ყოველთვიური ცნობები,, რამდენჯერ მიუმართავთ მცხოვრებთ საექიმო დახმარებისათვის. აქ არ მოგვყავს ციფრები პირველ სამი თვის ცნობების ნაკლებობის გამო.

თვიურად ეს რიცხვები ათას სულზე წარმოსდგება შემდეგი რიგი ციფრებით:

აპრილი მაისი ივნისი ივლისი აგვისტო სექტ. ოქტ. ნოემბ. დეკემბ.
 22,3 20,9 22,0 37,7 37,6 40,3 53,2 46,8 40,9

მოყვანილი რიგი 385,9 წელიწადში გვიჩვენებს, რომ წლის მეორე ნახევარში უფრო მეტჯერ მიუმართავთ საექიმო დახმარებისათვის. ეს აიხსნება არა მარტო იმით რომ წლის მეორე ნახევარში მეტად იყო გავრცელებული მალარია, არამედ იმითაც, რომ თან და თან მცხოვრებთა შორის იზრდება ნდობა ექიმებისადმი. ამ რიგათ, თუ ოქტომბრის შესახებ ნაჩვენები რიცხვი—53,2 იმის მაჩვენებელია, რომ ამ თვეში მეტად ყოფილა გავრცელებული მალარია და სხვა ავადმყოფობანი, წლის

პირველი და მეორე ნახევარის კოეფიციენტების შედარება გვიჩვენებს, რომ მცხოვრებთა შორის ნდობა ექიმისადმი დიდათ გაზრდილა.

პროცენტული დამოკიდებულება სხვადასხვა ავადმყოფობათა საერთო რიცხვთან გამოიხატება შემდეგი ციფრებით:

პარტახტიანი ტიფი 9,00⁰/₀ მუცლის ტიფი 1,4⁰/₀ შექცევითი ტიფი 1,6⁰/₀ გამოურკვ. ფ. ტიფი 1,1⁰/₀ ინფლუნცია 2,8⁰/₀ მუცელა 2,2⁰/₀ ყივანახველბ 0,1⁰/₀ წითელი ქარი 0,1⁰/₀ ათაშანგი, 4⁰/₀ სუსუნატი 0,1⁰/₀ დან. გად. ავად. 1,3⁰/₀, ჭლექი 1,2⁰/₀, ფილტ. კრუბ. ანთება 0,4⁰/₀, კანის ავადმყოფობა 4,1⁰/₀, სულ. გადამ. ავადმყოფობა 25,5⁰/₀, მალარია 27,2⁰/₀, არა გად. ავადმყოფობა 47,3⁰/₀.

გადამდებ ავადმყოფობათა და მალარიის საერთო რიცხვი შეადგენს ავადმყოფობათა საერთო რიცხვის ნახევარზე რამდენიმედ მეტს. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მალარიით დაავადება, რომლის რიცხვი შეადგენს ყველა ავადმყოფობათა 1/4-ზე მეტს 27,2⁰/₀. არ შეიძლება არ მიექცეს ყურადღება აგრედვე პარტახტიანი ტიფის დიდ რიცხვს. 9,00⁰/₀, ცალკე თემებში დაავადების პროცენტული დამოკიდებულება შემდეგი ყოფილა:

5663

	მანკლის	ახლუბის	გარეშ.	ასურეთ.	პარტყუფ.	სართიქ.	საგარეჯ.	ყარიაზ.
პარტახტიანი ტიფი	4,5	11,5	7,1	0,2	24,4	22,1	4,8	0,5
მუცლის ტიფი	—	0,3	2,1	2,7	1,7	1,6	0,2	0,9
შექცევითი ტიფი	3,5	0,8	2,0	2,3	3,4	0,4	0,4	—
გამ. ფარმ. ტიფი	0,8	3,3	1,4	0,7	0,1	3,0	0,7	—
ინფლუნცია	2,3	3,3	7,4	1,3	3,4	5,3	—	1,2
მუცელა	0,1	1,4	1,5	4,1	1,7	0,8	3,8	1,4
ყვავილი	—	0,4	—	—	—	0,3	—	—
ყივანახველა	—	1,2	—	—	—	0,3	—	—
წითელი ქარი	—	—	0,2	0,2	0,1	—	0,2	—
ათაშანგი	1,3	0,6	0,4	0,1	0,3	—	0,4	—
სუსუნატი	1,1	0,2	—	—	—	—	—	—
დან. გად. ავად.	0,6	0,8	0,9	2,3	0,2	0,5	0,5	—
ჭლექი	3,6	2,1	2,5	0,6	0,6	1,5	0,5	—
ფილტ. კრ. ანთ.	—	—	—	—	—	1,3	—	—
კანის ავადმყოფ.	4,7	4,1	3,4	3,8	4,8	1,4	5,7	4,1
სულ გადამდები	22,5	30,2	28,3	13,3	40,7	38,5	17,2	8,1
მალარია	6,0	8,4	24,0	24,0	11,1	18,1	55,8	48,3
არა გადამ. ავად.	71,5	61,6	47,1	57,7	48,2	43,4	28,0	43,6
ს უ ლ	100 ⁰ / ₀							



ცალკე თემებშიაც, როგორცა სჩანს მოყვანილი ციფრებიდან, უმეტეს პროცენტს შეადგენს დაავადება მალარიით და პარტახტიანი ტიფით. მალარიით დაავადების პროცენტი მეტად დიდია საგარეჯოსა და ყარაიაზში და ამ ავადმყოფობის გავრცელების პირობებთან ბრძოლას უნდა მიექცეს მაზრის სასანიტარო ორგანოს განსაკუთრებული ყურადღება. სხვათა შორის, აღსანიშნავია თითქმის თანაბარი გავრცელება ყველა თემებში კანის ზვადმყოფობისა (მუნისა).

მიუხედავად იმისა, რომ დაავადებულთა ციფრებს უმთავრესად შედარებითი, ხასიათი აქვთ მაინც ეს ცნობები საკმაოდ უნდა ჩაითვალოს ამა თუ იმ ავადმყოფობის მცხოვრებთა შორის გავრცელების დასახასიათებლათ და მათი ბუდეების გამოსაშკარებლათ.

გ. ბენაშვილი.

საქონლის ჭირი და მასთან ბრძოლა.

საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველ საშუალებების აღსანიშნავად, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ზოგიერთი კონკრეტული და პრაქტიკული რჩევა, რომელიც უკვე აღნიშნულ უმთავრეს საშუალებების დამხმარე საშუალებას ან, უკეთ რომ ვსთქვათ, დასკვნას შეადგენს:

1) საჭიროა აიკრძალოს მოგზაურობა, მისვლა-მოსვლა საქონლით ჭირიან სოფელში.

2) საჭიროა აიკრძალოს ყიდვა-გაყიდვა საქონლისა ჭირიან სოფელში და თუ ამ ჭირიან სოფლის რაიონში არის ბაზრები, ამ უკანასკნელებზედაც.

3) საჭიროა აიკრძალოს ჭირიან სოფლიდან გატანა სხვა სალ სოფელში: თივისა, ბზისა, ფუჩეჩისა და სენის გადამტან სხვა საგნებისა.

4) საჭიროა მოკლული ან აცრის შემდეგ დახოცილი საქონელი მაშინვე იმარხებოდეს ღრმათ ამოთხრილ (ორნახევარ არშინზე) მიწაში.

5) ის ადგილი, სადაც ავადმყოფები იღვწენ ან ინახებოდენ, საჭი-

როა კარგათ გაიწმინდოს, და მდულრით მოირწყას და თუ შეძლება აქვს პატრონს, კირითაც მოჰფინოს იგი.

6) საჭიროა აიკრძალოს კირიან სოფელში დაკვლა საქონლისა ექიმის ნებადაურთველად და მის გაუსინჯველად.

7) რომ მოგზაურობა შეიწყვიტოს კირიან სოფელზე, საჭიროა შემოღებულ იქნას ორ სისტემიანი კარანტინი, ესე იგი, კირიან სოფელში გზებს დარაჯობენ სახელმწიფო ხარჯზე დაქირავებული ყარაულები, მხოლოდ საღ მეზობელ სოფლებიდან კი—ამავე საზოგადოების მიერ აქორჩეული და დაქირავებული ყარაულები. საღ სოფლის მცხოვრებლები შეტად არიან დაინტერესებულნი თავის დაცვაში, ვიდრე უბედურებით მოკულნი კირიან სოფლის მცხოვრებნი.

თავის მოტყუება იქნებოდა იმისი თქმა, რომ ცხოვრებაში აცრის მოწინააღმდეგე მიმართულება არ სუფევდეს; ამიტომ საჭიროა ამ მიმართულების გაცნობა და გათვალისწინება.

მოწინააღმდეგების აზრით აცრის უარყოფითი მხარეებს შეადგენენ: 1, გაბერწება ძროხებისა (ხბოების გამოგდება) 2, წველის კლება და 3, აცრილი ხბოების გაჟლეტა. ერთის შეხედვით ეს იმისთანა უარყოფითი მხარეებია აცრისა, რომ არამც თუ გლეხკაცს, რომლის ავლადიდებას და წლითი წლობის საზრდოს სითეთრე შეადგენს (რძე, მაწონი, ყველი, ერბო და სხვა), შეაშინებს, არამედ ყოველ მოქალაქესაც ტანში ჟრუანტელს მოჰგვრის. ეს ასეა პირველ შეხედვით, მაგრამ სულ სხვაა მოწინააღმდეგების მოსაზრებების არსებითი მხარე, რომლის მეცნიერული საზომით დაფასება არაარად ჰყოფს აღნიშნულ მოსაზრებებს და კირის წინააღმდეგ ერთად ერთს საშუალებად აღიარებს „შეერთებულ აცრას“ საქონლისას. ერთი უპირველესი მოთხოვნილება მიუდგომელი მსჯელობისა ამა თუ იმ კითხვაზე არის—მთლიანი მისი გაშუქება, თუნდაც ეს გაშუქება შემცდარი ხასიათისა იყოს.

საბეითლო პრაქტიკის მიერ ცნობილია, რომ ნორმალური ვადა, კირის გათავებისა ამა თუ იმ სოფელში, განისაზღვრება 45 დღით, დღიდან აცრის დაწყებისა. მთელი ეს ვადა განიყოფება 4 პერიოდად ანუ ხანად: 1-ხანა „ინკუბაციისა“ (დაფარული მსვლელობა ავადმყოფობისა) გრძელდება 1—10 დღემდე; 2-ხანა რეაქციისა (როცა სიცხეს მისცემს და გამოყრის, იარებს პირში) გრძელდება 10—21 დღემდე; 3-ხანა გამოკეთებისა. 20—30 დღემდე და 15 დღეც კირიან სოფლის უკანასკნელ გაწმენდისათვის ანუ დასრულებითი გამოკეთება ყველა ავადმყოფ საქონლისა.

იბადება კითხვა—რომელ აღნიშნულ ხანაზე მოდის ის მასიური გაბერწება ძროხებისა, რომელზედაც მიგვითითებენ აცრის მოწინააღმდეგენი? ამ კითხვაზე დადებითი პასუხი საჭიროა არამც თუ მეცნიერების თვალსაზრისით, არამედ პრაქტიკულის მხრითაც; მაგრამ მოწინააღმდეგენი მასზე გადაჭრილ პასუხს არ იძლევიან და აქ იმარხება მათი მოსაზრებების სუსტი მხარე. 1903 წლიდან დღემდის ამ სტრიქონების დამწერი შუშაობს საქონლის ჭირის მოსპობის ასპარეზზე „აცრის“ საშუალებით და არც ერთხელ არ მინახავს მასიური გაბერწება ძროხებისა პირველ სამ ხანის აღნიშნულ ვადაში. მართალია, თვითეული ძროხის გაბერწების მოვლენას აქვს ადგილი მეოთხე ხანაში, სწორედ იმ დროს, როდესაც კარანტინი იხსნება სოფელში და ეს უკანასკნელი საყოველთაოდ გამოცხადებულია თავისუფლად ჭირის მხრივ.

ამ მხრივ ჩემი დაკვირვება მტკიცდება კიდევ იმ ფაქტით, რომ „შეერთებული აცრა“ საქონლისა ცნობილია ყველა განათლებულ ქვეყნებში ერთად ერთ რადიკალ საშუალებათ საქონლის ჭირის წინააღმდეგ. თუ დაუშვებთ, რომ საქონლის აცრას, დღიდან მისი დაწყებისა კარანტინის მოხსნამდე, თან ახლავს მასიური გაბერწება ძროხებისა (მასიური გაბერწება გულისხმობს ნახევარზე მეტს მთელი აცრილი საქონლის რიცხვიდან, დაახლოვებით 75 პროც.), მაშინ ის ქვეყნები, სადაც საქონლის აცრა სწარმოებს სისტემატიურად ათ-ათი წლობით და მეტიც, უნდა დარჩენილიყვნენ უსაქონლოდ, ვინაიდან თუ ხბო არ იშობა, მსხვილი საქონელი საიდან განჩნდებოდა და აცრა, როგორც მეცნიერულ ნიადაგზე დაყენებული საშუალება, აქამდის უნდა მიეტოვებინათ, მაგრამ არც პირველს, არც მეორეს ჩვენ არ ვხედავთ; პირიქით—ავსტრალია, კანადა, თურქესტანი და მონგოლია იცავდნ და იცავენ თავს საქონელს ჭირისაგან მარტოდ მარტო შეერთებული აცრით, რომელსაც ხმარობდნ მუდამ, როცა კი ჭირი გაჩნდებოდა—ზამთარში, ზაფხულში, შემოდგომაზე და გაზაფხულზე. ღირს შესანიშნავი და დამახასიათებელია ის მოვლენა, რომ სწავლულნი, როდესაც აღნუსხავენ ყველა სასტიკ ავადმყოფობას, რომლის პათოლოგი—ანატომიური სურათი წარმოადგენს ჭირის სურათს, ამისთანა ავადმყოფების რიცხვში სრულებით არ იხსენიებენ ძროხების „მასიურ“ გაბერწებას (ПОВАЛЬНЫЙ ВЫКИДЫШЬ), რომელიც, იმავე სწავლულების აზრით, განცალკევებულ ინფექციურ ავადმყოფობას წარმოადგენს და არივითარი დამოკიდებულება არა აქვს არც ჭირთან და არც აცრასთან. საზოგადოთ, ვფიქრობთ, აღძრულ კითხვის დადებითად ახსნის და განმარტების შემდეგ,

მეორე საბუთი. აცრის მოწინააღმდეგეთა—ესე იგი „წველის დაკლება“ გადაწყვეტილად უნტა ჩაითვალოს, ვინაიდან აცრისაგან ვითომდა გამოწვეული ძროხის გაბერწებას უკავშირებენ რძის დაკლებასაც; რომ ეს კითხვაც ბევრად თუ ცოტათი გაეაშუქოს, საჭიროა მაზედაც შევჩერდეთ. ყველა მომაკვდავმა კარგათ უწყის, რომ რძის ფაბრიკას შეადგენს „ცური“ და არა „საშვილოსნო“, მაშასადამე ტოპოგრაფიული ანატომიის და ფიზიოლოგიის დაურღვეველი წესით და ამა თუ იმ სხეულის ნაწილის მოქმედების თვისებით (ФУНКЦИОНАЛЬНОЕ СВОЙСТВО) არ შეიძლება კატეგორიული კავშირი არსებობდეს ძროხის „გაბერწებასა და წველის დაკლების შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ლოდიკის კანონით, ჩვენ უნდა დაუშვათ, რომ ყოველივე „წველის შეწყვეტა“ ეს, რასაც მუდამ ვხედავთ „მასიურ ფილტვების ანთებასთან“ (повальное воспаление легких рог. скота) და სიქლექის ახალ პროცესის დროს, თან მოხდეს ხბოს გამოვლება; მაგრამ ასეთი მოვლენა ცხოვრებაში არ ხდება. შემდეგ,—თუ დაუშვებთ, რომ „შეერთებული აცრა“ იმისთანა ანატომიურ და გისტოლოგიურ ცვლილებას ახდენს საშვილოსნოში, რომ მას უეჭველად ძროხის გაბერწება მოხდეს, მაშინ უნდა დაუშვათ ისიც, რომ იგივე აცრა ისეთსავე ცვლილებას უნდა ახდენდეს „ცურზედაც“, რის შედეგიც ცურის „ატროფია“, მისი გამაგრება შემდეგის იარებით და ნაწილ-ნაწილი ლპობა უნდა მოჰყვეს, მაგრამ ასე არ ხდება ცხოვრებაში აცრის დროს.

აღნიშნული განმარტების გარდა, ყველამ კარგათ იცის, რომ ძროხა, რომელმაც კარგათ მოიმშობიერა და ხბოთი იწველის, რძეს მაინც არ მოგცემთ, თუ ხბო მოაშორეთ. ეს ფაქტი საგულისხმოა და ის გვიმტკიცებს იმას, რომ რძის საკმაოდ მოცემა ან დაკლება სულ სხვა მიზეზებზეა დამოკიდებული და არა აცრაზე.

მაშ რა მიზეზია, რომ ძროხები, ჭირს რომ იხდიან, აცრის შემდეგ, ცოტათი მაინც კლებულობენ წველას? ამის მიზეზები უნდა ვეძიოთ რაციონალ შენახვის და საზღოების უცოდინარობაში, რაც უეჭველია, ხელს უწყობს საქონლის უმეტეს ჯანდაგობას და ჯანდაგი საქონელი კი რასაკვირველია, ბევრს არ მოიწველის. ცხოველების მოშენების და სარგებლობის მეცნიერება მოითხოვს რომ ცხოველების ინტენსიური ექსპლოატაცია ყოველ დარგში, პარალელურად უნდა მიდიოდეს ინტენსიურ საზრდოებასთან და შესაფერ შენახვასთან, საზოგადო თეორიის და ჰუმანისიმის დებულებანი კი დამყარებულნი არიან მხოლოდ

და მხოლოდ ავადმყოფ საქონელის რაციონალ საზრდოებაზე და შენახვაზე.

აცრილი საქონელი ხუთ დღემდე, დღიდან მისი აცრისა, არაფერს იმჩნევს; ამ ხანში საქონელი უნდა ინახებოდეს ისე, როგორც ინახებოდა. აცრამდე: მე-ნ მე-ჩ დღეს იწყება ავადმყოფობის აშკარა გამოჩენა (თვითეული თავი მესამე დღეს ან კიდევ მეთოთხმეტე დღეს იჩენს:) მიეცემა სიცხე 40 გრადუსამდე და მეტიც, გამოაყრის ბაგის ძირის ტუჩზე და პირში ქინძისთავის ოდენა იარებს, დაუწყებს სისხლით ფაღარათობას, ბალანი აებურძგნება, თრთის და კანკალებს და ჭამას ჰკვეთს. თუ საქონელი ჭამას არ აჰკვეთს, მას ნირი არ უნდა შეუშალოთ, მხოლოდ, როცა ჭამას სრულვებით აჰკვეთს, მაშინ ხელის შეწყობაა საჭირო პატრონის მიერ სხვადასხვა ბალახის, ანდა ვაზის მწვერვალი ყლორტების (მოუწამლავი კი) მიტანის სახით; ამასთანავე ძრიელ კარგია მოხარშული ვაშლის ან პანტის ქმევა. ჭამას უშლის მომეტებულად პირის იარები, ამიტომ საჭიროა დილით და საღამოთი ნელთბილი წყლით პირის გამობანა. თუ საქონელი სრულვებით აღარაფერს სჭამს, მაშინ უნდა ასვათ „გადადუღებული“ (ცხელს წყალში გახსნილ სიმინდის ფქვილს, ქუთაისის გუბერნიაში იძახიან „გადადუღებულს“, რუსების Болтушка“-ს მზგავსი). თუ ცხოველი დიდია, მას ეყოფა 6—10 ბოთლამდე დღეში; საშუალოს, 4—6-მდე; ხბოს 2—4-მდე დღეში; ამასთანავე განუწყვეტლივ წინ უნდა ედვას აგრეთვე ბალახი და წყალი, ცივს და წვიმიან ამინდის დროს გარეთ არ უნდა გამოუშვათ, მზიან დღეს კი გარეთ ყოფნა მოუხდება. საჭიროა აგრეთვე ავადმყოფის სუფთად შენახვა—ჩირქიანი თვალების, ნესტოების და უკან ტანის ნელთბილი წყლით ბანვა. ავადმყოფის გამოკეთების ხანაში დიდი ყურადღება არის საჭირო, რომ უვარგისა საქმელით მუცელი არ გაებეროს (ТИМПАНИНЪ) ამ დროს უფრო კარგია თუ საქონელი საძოვარზე იმყოფება. როდესაც პატრონი საქონლიდგან ითხოვს დიდს სარგებლობას, მაშინ იგი უნდა გადავიდეს მის სხვა ჭამა-საზრდოებაზე, ესრედ წოდებულ „კონცენტრირულ“ საზრდოებაზე (концентрированная корма).

საზოგადოდ ჭამა-საზრდოება ისახავს ორს უმთავრეს მიზანს:

ა) სხეულის გამაგრებას და ანაზღაურებას იმ ენერგიისა, რომელიც სხეულმა დახარჯა—სუნთქვის, სისხლის ტრიალის და კუჭის ხარშვის პროცესის დროს, ბ)—სხეულის მუშაობის ნაყოფიერებას, რძის და ქონის მიმატებას, მატყლის და ხორცის გაუმჯობესებას; ამისდა მიხედვით ცხოველების ჭამა-საზრდოება იყოფება—ჯანის შემნახველ და უაღრესი

სარგებლობის მომტან საზრდოებად; როგორც პირველ შემთხვევაში, ისევე მეორეში — საქონლის საზღო თავის ფიზიოლოგიური დანიშნულებით განიყოფება: მთავარ, კონცენტრირულ და თანდართულ საქმელებზე. ზემო აღნიშნულ ჩვენი მიზნისთვის, ესე იგი, რძის მომატებისთვის, საჭიროა მეწველი საქონელი ვასაზღოთ ისეთი საქმელებით, რომელნიც შეიცავენ მონელების დიდს პროცენტს, ეს უკანასკნელი კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რაოდენ ადვილად მოსანელებელ თვისებებს შეიცავს ესა თუ ის საქონლის საქმელი.

ბევრი ფიქრობს, რომ საკმარისია საქონელს მივცეთ მარტო თივა და ყოველივე ჩვენი ნაშრომი და ხარჯები ერთი სამად აგვენაზღაურებაო; ასეთი მსჯელობა ცოტათ თუ ბევრად გადაჭარბებულად უნდა ჩაითვალოს. მართალია, თივა შეადგენს ერთს უმთავრეს საქონლის საზღოს, მაგრამ მისი მონელების პროცენტი პირდაპირ დაკავშირებულია თივაში არსებულ მშრალ ორგანიულ ელემენტების რაოდენობაზე, რომლიდანაც მოსანელებელ თვისებებს ატარებენ: პროტეინი, უჯრედები და ქონი, რაოდენობა ამ უკანასკნელთა კი დამყარებულია სათიბების ადგილებზე, თივის დასამზადებელ საშუალებებზე და ბალახის ბოტანიკურ შემადგენლობაზე.

ბეთალი ექიმის ბ. დეველის გამოკვლევით აღნიშნულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს მარტო პირველი ხარისხის მთის თივა, რომლის ყოველ 10 გირვანქაში შედის, წყლის გარეშე, მშრალი ორგანიული ელემენტი 7,6 პროტეინი 0,9 უგლევოდი 3,0 კლეჩატკა 1,2 და სისუქნე 0,1; ამისდა მიუხედავად პირველი ხარისხის მთის თივაც არ არის საკმარისი, თუ რომ ჩვენ საქონლისაგან მოვითხოვთ მეტს სარგებლობას; ამ უკანასკნელ შემთხვევაში უნდა ვისარგებლოთ უთუოთ იმისთანა საქმელით, რომელიც შეიცავს, როგორც ზევით ვსთქვით, უდიდეს მონელების პროცენტს და ასეთი საქმელი კი არის: სიმინდი, ქერი, შვრია და ცერცვეულობის ჯიშის მცენარეები. ამათში ყველაზე სარგებლიანი, იგივე ვეტერინალურ ექიმის დევილის გამოკვლევით, ითვლება სიმინდი, რომლის 10 გირვანქაში შედის 8,5 მშრალი ორგანიული ელემენტი, აქედან — მოსანელებელი — პროტეინი 0,8 უგლევოდი 6,7, კლეჩატკა 0,1 და სიმსუქნე 0,4; პროტეინი და სიმსუქნე შეადგენს უმთავრეს მოსანელებელ ნაწილს ამა თუ იმ საქმლისას და იგინი მომეტებულად შედიან ესრედ წოდებულ ჯმიხებში (ზეთის გამოხდის შემდეგ დარჩენილი ჩენჩო); აი ამ ჯმიხებით (უფრო კარგია ყველაზე მზექვრიტასი, ბამბის კურკის და სხვა...) გამოკვება მეწველ საქონლისა მო-

უტანს პატრონს დიდს სარგებლობას. ალებ-მიმცემლობის თვალ-საზრისით მომეტებულ ყურადღებას აქცევენ მარტო რძის დიდ რაოდენობას და არა მის სინოყიერეს; ამიტომ საქონელს ჰკვებავენ მომეტებულად კარტოფილით, ქარხლით, თაღვამით, კომბოსტოთი და სხვა... რადგანაც ეს საქმელები შეიცავენ მომეტებულ დიდს პროცენტს წყალს; ამ შემთხვევაში ძროხა ბევრს რძეს იძლევა, მაგრამ მისი თვისება კი ძლიერ ვარდება, ამის გამო თუ მიზნათ ვისახავთ, რომ ძროხამ ბევრი რძე მოგვცეს და ამასთანავე კარგი თვისებისაც, — საჭიროა აღნიშნულ საქმელს გაურიოთ მარცვლეულობის საქმელიც (სიმინდი, ქერი, და სხვა...) და დაუმატოთ პირველ ხარისხის მთის თივაც, მაშინ მეურნეობის ორივე მხარე დაცული იქნება. თივის შესახებ ჩვენ ხელსაყრელ დროს, დაწვრილებით გვექნება მსჯელობა, ეხლა კი ამ მოკლე განმარტებით ჩვენი მიზანი იყო დაგვემტკიცებინა, რომ რძის დაკლება არ არის გამოწვეული საქონლის ჭირის წინააღმდეგ აცრისაგან და რძის მომატება კი პირდაპირ დამოკიდებულია საქონლის გონიერ მოვლა-საზრდოებაზე და კერძოთ „კონცენტრიული“ საქმელებით გამოკვებაზე. ამ მხარეს უფრო დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ქუთაისის გუბერნიაში, სადაც საქონელს ჰკვებავენ ავადმყოფობის და კარგათმყოფობის დროს მარტო სიმინდის ფუჩჩით, რომელსაც არავითარი სინოყიერე არა აქვს.

დაგვრჩა ვსთქვათ რამოდენიმე, სიტყვა აცრის მოწინააღმდეგეების მესამე მოსაზრებაზე — ესე იგი ხბოების აცრისაგან გაუღეტაზე; ყველაზე მეტი აცრილი საქონლიდგან ხბოები იხოცებიან. ამ ბოროტების წინააღმდეგ ჩვენ გვაქვს კარგი საშუალება, ეს არის დოზების გადიდება ხბოებისთვის ორჯელ და, თუ საჭიროება მოითხოვს, სამჯერ მეტად. ამნაირ აცრით ხბოების სიკვდილის რიცხვი ძრიელ მცირდება. ვინაიდან მათ აცრას უახლოვდება კარგი კულტურული ჯიშის საქონლის აცრა, რომელსაც ძრიელ სასურველი შედეგები მოაქვს.

ამ რიგად — საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბეითლო მეცნიერებამ მოგვცა მიზან-შეწონილი და რადიკალური საშუალება, ეს არის „შეერთებული აცრა“ და ეხლა ერობებზე არის დამოკიდებული ამ საშუალების ფართო მასშტაბით მოხმარება და სარგებლობა ხალხის საკეთილდღეოთ.

ბეითალი ექიმი მაშამთავრი შვილი.

მ რ ო ბ ა თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ა .

ე რ ო ბ ა თ ა კ ა ვ შ ი რ ი ს კ ო მ ი ტ ე ტ შ ი .

ე რ ო ბ ა თ ა კ ა ვ შ ი რ ი ს . კ ო მ ი ტ ე ტ ი ს თ ა ო ს ნ ო ბ ი თ კ ა ვ შ ი რ ი ს ბ ი ნ ა ზ ე მ ო -
წ ვ ე უ ლ ი ქ ნ ა ც ე ნ ტ რ ა ლ ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ უ რ ი ს ა ბ ჰ კ ო ს , ც ე ნ ტ რ ა ლ ს ტ ა ტ ი ს ტ ი -
კ უ რ კ ო მ ი ტ ე ტ ი ს , კ ა ლ ა ქ თ ა კ ა ვ შ ი რ ი ს მ თ ა ვ ა რ კ ო მ ი ტ ე ტ ი ს , ქ ა ლ ა ქ თ ბ ი -
ლ ი ს ი ს თ ვ ი თ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს და თ ბ ი ლ ი ს ი ს ს ა მ ა ზ რ ო ე რ ო ბ ი ს წ ა რ მ ო მ ა დ გ ე -
ნ ე ლ თ ა თ ა თ ბ ი რ ი , რ ო მ ე ლ მ ა ც . შ ე ი მ უ შ ი ვ ა ე რ ო ბ ე ბ ი ს ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ უ რ გ ა ნ -
ყ ო ფ ი ლ ე ბ ა თ ა და ც ე ნ ტ რ ა ლ ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ უ რ კ ო მ ი ტ ე ტ ი ს კ ო მ პ ე ნ ტ ე ნ ც ი ს
პ რ ო ე კ ტ ი . ეს პ რ ო ე კ ტ ი შ ე მ დ ე გ შ ი ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ უ რ ს ა ბ ჰ კ ო ს
მ ი ე რ უ ც ვ ლ ე ლ ა დ ი ქ ნ ა მ ი ლ ე ბ უ ლ ი .

მ ი ლ ე ბ უ ლ ი ი ქ ნ ა შ ე მ დ ე ბ ი თ ე ზ ი ს ე ბ ი :

1. ც ე ნ ტ რ ა ლ ი ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ რ უ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ი მ უ შ ა ვ ე ბ ს რ ო ვ ო რ ც მ ი მ -
დ ი ნ ა რ ე ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ი ს (ს ა ს ო ფ ლ ო -ს ა მ ე უ რ ნ ე ო , ს ა ს უ რ ს ა თ ო , მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ ა
მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ა , ს ა მ ე დ ი კ ო -ს ა ს ა ნ ი ტ ა რ ო , ს ი ს ხ ლ ი ს ს ა მ ა რ თ ლ ი ს , ს ა ს კ ო ლ ო და
ს ხ ვ ა) , ა გ რ ე თ ვ ე ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ი ს ს ხ ვ ა და ს ხ ვ ა დ ა რ გ ე ბ შ ი ე რ თ დ რ ო უ ლ ი
გ ა მ ო კ ა ლ ე ვ ი ს პ რ ო გ რ ა მ ე ბ ი ს ა და ბ ლ ა ნ კ ე ბ ი ს პ რ ო ე კ ტ ე ბ ს .

2. წ ი ნ ა მ უ ხ ლ შ ი მ ო ხ ს ე ნ ე ბ უ ლ ი პ რ ო ე კ ტ ე ბ ი წ ა რ ე დ გ ი ნ ე ბ ა გ ა ნ ს ა -
ხ ი ლ ხ ი ლ ვ ე ლ ა თ ც ე ნ ტ რ ა ლ ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ უ რ კ ო მ ი ტ ე ტ ი ს მ ი ე რ მ ო წ ვ ე უ ლ კ ო -
მ ი ს ი ე ბ ს . ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო ა , რ ო მ ა მ კ ო მ ი ს ი ე ბ ი ს შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა შ ი შ ე დ ი ო -
დ ე ნ და მ ა თ მ უ შ ა ო ბ ა შ ი მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა ს ღ ე ბ უ ლ ო ბ დ ე ნ ქ ა ლ ა ქ თ ა კ ა ვ შ ი -
რ ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ი ს , ე რ ო ბ ა თ ა კ ა ვ შ ი რ ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ი ს , ქ ა ლ ა ქ თ ბ ი ლ ი ს ი ს
თ ვ ი თ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს და თ ბ ი ლ ი ს ი ს ს ა მ ა ზ რ ო ე რ ო ბ ი ს წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ე ლ ნ ი .

3. კ ო მ ი ს ი ი ს მ ი ე რ მ ი ლ ე ბ უ ლ ი ბ ლ ა ნ კ ე ბ ი წ ა რ ე დ კ ი ნ ე ბ ა ც ე ნ ტ რ ა ლ
ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ უ რ ს ა ბ ჰ კ ო ს დ ა ს ა მ ტ კ ი ც ე ბ ლ ა თ .

4. ც ე ნ ტ რ ა ლ ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ უ რ ს ა ბ ჰ კ ო ს მ ი ე რ დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ბ ლ ა ნ კ ე ბ -
ს ა და ს ა ა ნ კ ე ტ ო ფ უ რ ც ლ ე ბ ს ც ე ნ ტ რ ა ლ ი ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი
უ გ ზ ა ე ნ ი ს ე რ ო ბ ი ს ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ უ რ გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ე ბ ს და ეს უ კ ა ნ ა ს კ ე ნ ლ ნ ი
ა ნ ა წ ი ლ ე ბ ე ნ ა მ ფ უ რ ც ლ ე ბ ს ა და ბ ლ ა ნ კ ე ბ ს წ ვ რ ი ლ ს ა ე რ ო ბ ო ე რ თ ე უ ლ ე ბ -
თ ა , მ ო ხ ა ლ ი ს ე კ ო რ ე ს პ ო დ ე ნ ტ თ ა და ს პ ე ც ი ა ლ ი ს ტ თ ა შ ო რ ი ს .

5. ს ა მ ა ზ რ ო ე რ ო ბ ე ბ ი ს ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ უ რ ი გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა ნ ი ა ა რ ს ე ბ ე ნ
თ ა ვ ი ა ნ თ მ ა ზ რ ე ბ შ ი კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ თ ა ქ ს ე ლ ს (შ ე ძ ლ ე ბ ი ს დ ა გ ვ ა რ ა თ ყ ო -
ვ ე ლ მ ო ზ რ დ ი ლ ს ო ფ ე ლ შ ი) ; ყ ვ ე ლ ა წ ვ რ ი ლ ს ა ე რ ო ბ ო ე რ თ ე უ ლ ე ბ თ ა ნ შ ე -

თანხმებით ნიშნავენ სანგანგებო პირებს საანკეტო ფურცლების შესავსებლათ; აძლევენ მათ ინსტრუქციებს საანკეტო ფურცლების სწრაფად და ერთნაირად შევსებისათვის: ამავე მიზნით ინსტრუქციებს აძლევენ აგრეთვე სპეციალისტებს (აგრონომებს, მასწავლებლებს, საექიმო პერსონალს); ერთდროულ გამოკვლევის დროს მონაწილეობას იღებენ მცხოვრებთა დაკითხვის ორგანიზაციაში.

6. მაზრაში შევსებული საანკეტო ფურცლები დაუყოვნებლივ ეგზავნება დასამუშავებლად ცენტრალ სტატისტიკურ კომიტეტს; კომიტეტი ვალდებულია დამუშავებისთანავე დაუყოვნებლივ მიაწოდოს თითოეულ ერობის სტატისტიკურ განყოფილებას დამუშავებული ცნობები, რომელნიც მის მაზრას ეხებიან. ცენტრალ სტატისტიკური კომიტეტის მიერ სტატისტიკური მასალის დამუშავების საერთო გეგმას იხილავს ამ დადგენილების მეორე მუხლში მოხსენებული კომისიები და შემდეგ ამ ტვიცებს მას ცენტრალი სტატისტიკური საბჭო.

იმ შემთხვევაში, როდესაც შეგროვილი მასალა სასწრაფოდ საჭირო იქნება ადგილობრივი მუშაობისთვის, ერობებს შეუძლიათ ცენტრალ სტატისტიკურ საბჭოს ცნობით და მის მიერ განსაზღვრულ ვადაში გადაიღონ მასალების პირი, სანამ მასალა გაეგზავნებოდეს ცენტრალ სტატისტიკურ კომიტეტს.

ცენტრალი სტატისტიკური კომიტეტი ვალდებულია აგრეთვე მასალის დამუშავების შემდეგ დაუბრუნოს პირვანდელი მასალა სამაზრო ერობებს უფრო ღრმად დასამუშავებლად ადგილობრივ საკითხთა გაშუქების თვალსაზრისით, რასაკვირველია იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი მოთხოვნა წამოყენებული იქნება ერობათაგან.

7. ერობათა სტატისტიკურ განყოფილებებს შეუძლიათ მოსთხოვონ ცენტრალ სტატისტიკურ კომიტეტს ისეთი საკითხის სპეციალურად დამუშავება, რომლითაც მისი მაზრა იქნება დაინტერესებული, და რომელიც შეიძლება, სხვა მაზრებისათვის არავითარ ინტერესს არ წარმოადგენდეს.

8) სამაზრო ერობების სტატისტიკური განყოფილებანი აწვდიან თავის გამგეობას მასალას უკვე არსებულ სტატისტიკურ მასალებიდან (მაგალითად: 1917 წლის აღწერა, რკინის გზის სტატისტიკა, ფასების სტატისტიკა) და სათანადო შეამუშავებენ ამ მასალას: აწარმოებენ ადგილობრივ გამოკვლევებს (მაგალ: საფუთო გადასახადის საკითხის გამოსარკვევათ); გამოიკვლევენ მაზრაში შარა-გზით შემოტანილ საქონლის რაოდენობას; ამასთანავე აუცილებლად საჭიროა, რომ ისეთი

გამოკვლევის დროს, რომელიც მოსახლეობის დაკითხვას მოითხოვს, პროგრამა გამოკვლევისა წინასწარ ეგზავნებოდეს ცენტრალ სტატისტიკურ კომიტეტს განსახილველათ და დასამტკიცებლათ მეორე და მესამე მუხლებში მოხსენებული წესით.

9. ყოველ გვარი გამოკვლევა, თუნდაც მცხოვრებთა რაიონული (მთლიანი ან ამორჩევითი) დაკითხვის ხასიათისა, წინასწარ უნდა იყოს მოწონებული ცენტრალ სტატისტიკურ საბჭოს მიერ.

10. ადგილობრივ საერობო სტატისტიკურ განყოფილებებთან კონტაქტის შესაქმნელად ცენტრალი სტატისტიკური კომიტეტი პერიოდულად გზავნის თავის სტატისტიკოსებს მაზრებში; აგრეთვე სპეციალად აგზავნის სტატისტიკოსებს იმ მაზრებში, სადაც არ არის მოწყობილი სტატისტიკური განყოფილებები; რეგულიარულად აცნობს ადგილობრივ განყოფილებებს თავის მუშაობას; ადგილობრივი გამოკვლევის წარმოების დროს კომიტეტის აგენტები თანამშრომლობენ ადგილობრივ სტატისტიკოსებთან ერთად; პერიოდულად იმართება საერობო სტატისტიკოსთა ყრილობები.

21) ცენტრალ სტატისტიკურ საბჭოში უნდა იყოს გაძლიერებული ერობათა და ქალაქთა წარმომადგენლობა, რისთვისაც ერობათა კავშირს უნდა ჰქონდეს უფლება იყოლიოს საბჭოში ორი წარმომადგენელი და თბილისის სამაზრო ერობას — ერთი წარმომადგენელი.

შენიშვნა მერვე მუხლისათვის: საკითხი შესახებ იმისა, იყოს თუ არა განსაზღვრული ვადა ადგილებიდან ცენტრალ სტატისტიკურ საბჭოს დასამტკიცებლათ წარმოდგენილი პროგრამების განხილვისა, თათბირმა ღიად დასტოვა, რათა ეს საკითხი გადასწყვიტოს თვით ცენტრალ სტატისტიკურმა საბჭომ.

ცენტრალ სტატისტიკურ საბჭოს ამა წლის ათი მაისის სხდომაზე უარ-ყოფილ იქმნა საბჭოში წარმოდგენილი პროგრამის განხილვისათვის ვადის განსაზღვრა.

— ერობათა კავშირის კომიტეტმა დაკრილ მეომართათვის გაგზავნა სამასი კოლოფი პაპიროსი და სამასი კოლოფი ასანთი. ფრონტზე მყოფ მეომართათვის ოცი ფუთი თამბაქო და სამასი ათას ორასი წიგნაკი პაპიროსის ქაღალდისა.

სენაკის სამაზრო ერობაში.

— ერობის მიერ აგურის ქარხნის შენება შალე დამთავრდება. ქარხანაში უკვე იყო მოწყობილი სანიმუშო აგურის დაწვა.

— ერობას განზრახული აქვს შუამდგომლობა აღძრას მიწათმოქმედების სამინისტროს წინაშე. რათა მიეცეს მას ტყის მასალა ნიკოლაევის აბანოს შესაკეთებლათ.

ოზურგეთის სამაზრო ერობაში.

ოზურგეთის სამაზრო საერობო შეოთხე მორიგი ყრილობა.

ყრილობა გაიხსნა 20 აპრილს, ნაშუადღევს 4 საათზე, სამაზრო ერობის ბინაზე.

ს. ჭანტურიშვილი აკეთებს მოხსენებას გამგეობის მოქმედების შესახებ, მოკლეთ ახასიათებს იმ პირობების სიძნელეს, რომლებშიაც უხდება გამგეობას მუშაობა და შემდეგ აცნობს ყრილობას საქმის მდგომარეობას ადმინისტრაციულსა და საექიმო დარგებში. ის ამბობს: გამგეობამ იცის, თუ რა პასუხისმგებლობას აკისრებს მას არსებული მდგომარეობა, მას კარგათ აქვს. გათვალისწინებული რომ თუ ის კარგათ აკეთებს თავის პირდაპირ საქმეს—საერობო საქმეს, მაშინ ის ამით აკეთებს მთელი რესპუბლიკის, საერთაშორისო დემოკრატიის საქმესაც-კი. საქართველოს რესპუბლიკის როლი განსაკუთრებულია არსებულ პირობებში, და ამ განსაკუთრებული როლის შესრულება მას შეუძლია მხოლოდ ადგილობრივ—საერობო და სამოქალაქო თვითმართველობათა საშუალებით. საქართველოს რესპუბლიკა—განსაკუთრებული რესპუბლიკაა მთელი დედა-მიწის ზურგზე. აქ არის განმტკიცებული ხალხოსნური მართვა-გამგეობა, მთელი ძალა-უფლება ხალხს აქვს გადაცემული, აქ სრული დეცენტრალიზაციაა მართვა-გამგეობაში მომხდარი. ამიტომ ჩვენდამი დაკისრებული პასუხისმგებლობა, ჩვენც ვგრძნობთ, რომ ძლიერ დიდია. მაგრამ უსაშინელესია ის პირობები, რომლებშიაც ჩვენ გვიხდება მუშაობა. ასეთ ძნელ პირობებში ჩვენ გავაკეთეთ ის, რაც შეიძლებოდა გაკეთებულიყო და თუ ჩვენ ვერ გავაკეთეთ ის, რაც სასურ-

ველი იყო, ამაში ჩვენ ბრალი არ გვიდევს და პასუხსაც ნუ მოგვთხოვთ. პასუხი მოგვთხოვთ მხოლოდ მაშინ, თუ დაინახოთ, რომ არ გავაკეთეთ ის, რაც შესაძლებელი იყო გავვეკეთებია არსებულ პირობებში.

ერობა ხალხმა მიიღო, მისი იდეა განმტკიცებულია, ამ მხრივ ჩვენ დაბრკოლება არ გვიხდება; ჩვენ უმთავრესათ ხელს გვიშლის ფინანსიური ხასიათის დაბრკოლება, ამ მხრივ ჩვენი მდგომარეობა კრიტიკულია. დღეს რესპუბლიკაც — დიდ ფინანსიურ გასაჭირს განიცდის, ერობები მით უმეტეს, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა განსაკუთრებულადაა კრიტიკულია, პირდაპირ საშინელია. მრავალი ხარჯები გვაქვს, აუარებელი დაწესებულებები უნდა შევინახოთ, ყველაფერი ჩვენს ხელშია, ქონება კი არ გვაქვს, შემოსავალი არსადან. უმთავრეს წყაროს ჩვენი არსებობისას შეადგენს მთავრობის დახმარება, სხვა თვალსაჩინო წყარო ჩვენ არ გვაჩნია, გადასახადები ჩვენ არ გვაქვს გარდა ერთდროული სანიტარულია, რომელმაც მილიონ ნახევრამდე მანეთი მოგვცა მთელი წლის განმავლობაში. სასურსათო ოპერაციები არაფერს ვაძლევს, სპეკულიაციას ვერ მივმართავთ. ჩვენი საბიუჯეტო უფლებები ხომ გაურკვეველია; ჩვენ არ გვაქვს რაიმე დასაყრდნობი შემოსავლის წყარო, ჩვენი შემოსავალი შემთხვევითი ხასიათისაა და ეს ვარემოება ჩვენ ტრადიკულ მდგომარეობაში გვაყენებს.

სხვა მრავალი დაბრკოლებებიც გვხვდება ჩვენ სამოქმედო ასპარეზზე. გურია განსაკუთრებულ მდგომარეობაშია, ომის საშინელება მან მთელი სიმძიმით თავის-თავზე გამოსცადა; ჩვენ აქ ყველაფერი განადგურებული დაგვხვდა, მით უმეტეს ოზურგეთში, სადაც ჩვენი რეზიდენცია არის უბრალო უბინაობა რომ ავიღოთ, ისიც დიდათ გვაბრკოლებს. ასეთ საშინელ პირობებში გვიხდება მუშაობა, მაგრამ მაინც ვარსებობთ, როგორღაც ვახერხებთ არსებობას. ცხადია, მძლავრია ნებისყოფა ხალხისა და ეს სიმძლავრე გვამხნევენს ჩვენც, ამ ხალხის არჩეულებს, და ჩვენც განვაგრძობთ მუშაობას, ვებრძვით ხელის შემშლელ პირობებს.

შემდეგ მომხსენებელი, აცხადებს-რა, რომ გამგეობის წევრები დაწვრილებით მოახსენებენ ყრილობას თავ-თავიანთ დარგებიდან. გადადის თავის გამგეობაში არსებულ ადმინისტრაციულსა და საექიმო განყოფილებების მოქმედების დახასიათებაზე.

ადმინისტრაცია, ამბობს ის, სავსებით ერობის ხელშია, მთავრობას ეკუთვნის მხოლოდ კონტროლი; მისი შესანახი თანხის უდიდეს ნაწილს იძლევა მთავრობა, ნაწილს-კი იღებს ერობა. ადმინისტრაციის

მოწყობა ძნელი საქმეა; ამიტომ ეს საქმე ყველგან კოჭლობს, აქაც გაუმსჯობესება სჭირია, მაგრამ თამამად შემოძლია განვაცხადო, რომ ჩვენი მილიცია არის უმწიკვლო, ასე მცირე ჯამაგირით თავ-დადებულათ ემსახურება ხალხს და თავის მოვალეობას შეძლებისდაგვარად ასრულებს, ამიტომაც, რომ ჩვენს მხარეში ამ ბოლო დროს ბოროტ-მოქმედებათა რიცხვი ნაკლებია. ჩვენ მოვახდინეთ მილიციის რეორგანიზაცია: მოვსპეთ რაიონები, გავაძლიერეთ სამაზრო და სათემო მილიცია, მაზრის მილიციის უფროსს მივეცით სამი თანაშემწე, ორი ამათგანი მცირე ცხენოსანი რაზმებით დროებით ჩონატაურსა და ლანჩხუთში გავამწესეთ. არსებობს აგრეთვე ზოგიერთ ადგილებში სამილიციო პოსტები. ჩვენ მოვსპეთ სამაზრო ცხენოსანი და სათემო მილიცია, ვაძლევთ მათ შედარებით კარგ ჯამაგირებს და იმედი გვაქვს, რომ შესაფერ ნაყოფსაც მივიღებთ. დაწვრილებით ამის შესახებ თქვენ მოგეხსენებათ ხარჯთ-ალრიცხვის დროს.

შემდეგ მომხსენებელი მოკლეთ აცნობს ყრილობას საექიმო საქმის მდგომარეობას მაზრაში:

მაზრაში ჯერ-ჯერობით გვაქვს მოწყობილი 5—საექიმო პუნქტი: ჩონატაურში, ლანჩხუთში, ოსურგეთში, ხიდისთავში და ბახვში. ლანჩხუთსა და ჩონატაურში გახსნილია საავადმყოფო ათ-ათი საწოლით.

ამ დღეებში ერობას გადმოეცა აგრეთვე ოზურგეთის საავადმყოფო მდიდარი მოწყობილობით.

საფერშლო პუნქტი არსებობს 9; ლიახაურში, შემოქმედში, დვაბ-ზუში, ბახვში, ერკეთში, თავ-სურებში, ქვემო-სურებში, ამაღლებაში, ასკანაში, ჩიბათში, ნიგოთში, სოფ. ჯუმათში, ძიმითში, ჩოჩხათში, ჯურყვეთში, სად. ჯუმათში, მიქელ-გაბრიელში, გურიანთაში და ნანეი-შვილისეულში.

აქიმობა ყველგან უფასოა.

ვინაიდან მედიკამენტების ფასი მეტად გაიზარდა და შეიქნა ერთ-გვარი თვითნებობა და სიყალბე კერძო აფთიაქებში, ერობის გამგეობამ ასეთ ბოროტებათა საწინააღმდეგოთ გახსნა ქ. ოზურგეთში ცენტრალური აფთიაქის საწყობი და სამი აფთიაქი მაზრაში: ჩონატაურში, ხვარბეთში და ოზურგეთში. ბახმაროზე გაიხსნა ერობის აფთიაქი დროებით სააგარაკო სეზონის განმავლობაში. აფთიაქების გახსნით ერობამ შეძლების და გვართ უზრთველ-ჰყო მცხოვრებთა ინტერესები კარგი ღირსების და შედარებით იაფი წამლის მიწოდებით 25 პროც. დაკლებით არსებულ სააფთიაქო ნიხრზე, ღარიბებს ეძლევა წამალი უფასოთ.

1919 წლის განმავლობაში ყველა საექიმო-საფერშლო პუნქტებზე საექიმო დახმარება მიიღო 46.231 ავადმყოფმა. განზრახული გვაქვს 11 საექიმო პუნქტის მოწყობა, მაგრამ ექიმებს ვერ ვშოულობთ. საზოგადოთ ექიმები ნაკლებად მოდიან ჩვენში სამუშაოთ, ჩვენ ყოველ ზომებს ვხმარობთ, რომ რამდენათაც შეიძლება, უკეთესს პირობებში ჩავაყენოთ საექიმო დახმარების საქმე.

უკანასკნელათ მომხსენებელი, კვლავ ებება რა ერობის არსებულ უნუგეშო მდგომარეობას ფინანსიური მხრით, ამბობს, რომ გამგეობას ამ ფინანსიური კრიზისიდან გამოსასვლელ საშუალებათ მიაჩნია მრეწველობის გაჩაღება. ამ მიზნით გამგეობამ გადასწყვიტა ხელი მოჰკიდოს იმ დარგს მრეწველობისას, რომელიც, ჩვენს მაზრას უფრო შეეფერება, — ეს არის ხე-ტყის მრეწველობა. გამგეობამ აიღო მთავრობისაგან სესხად 3 მილიონი მანეთი, შეიძინა საუკეთესო ხე-ტყის საწარმოვო ქარხანა ქ. ფოთში ცნობილი ამხ. სბრაიოკასაგან. ეს ქარხანა 240 ძალიანია, საუცხოვო მანქანები აქვს, მშვენივრათ მოწყობილია. ჩვენ ეს ქარხანა უკვე გადმოვიტანეთ ნატანებში სავსებით და ეხლა სწარმოებს გაცხარებული მუშაობა მის დასადგამათ, სანახევროთ უკვე დადგმულია. მალე ერთი მანქანა ამუშავდება, ყველა მანქანები-კი ორ-სამ თვეში იქნება მზათ ასე რომ მარიამობისთვიდან ქარხანაში მუშაობა გაჩაღდება. ტყე მთავრობისგან ავიღეთ ჯერ-ჯერობით 1000-დის. უფრო მეტი გურიანთის აგარაკში. გვაქვს შუამდგომლობა აღძრული აგრეთვე მაზრაში არსებულ დიდი ტყეების საექსპლოატაციოთ ერობაზე გადმოცემის შესახებაც. გურიანთის აგარაკის დამუშავების შემდეგ ჩვენ შეუდგებით ამ ტყეების დამუშავებას. ერთი სიტყვით, ჩვენ უკვე უგადაქრით დავადექით ხე-ტყის მრეწველობის გზას. ეს გზა ჩვენ მიგვაჩნია ერთად ერთ საიმედო საარსებო წყაროთ. ასეთია ჩვენი მოქმედების ხაზი და, ვფიქრობთ, ეს ერთად-ერთი სწორი ხაზია, რომელიც, იმედი გვაქვს, ერობას გამოიყვანს იმ უნუგეშო მდგომარეობიდან, რომელშიაც დღეს ჩვენ ვიმყოფებით.

სწავლა-განათლების საქმე მაზრაში, როგორც შემდეგი მოხსენებიდან გამოირკვა, ჯერ-ჯერობით სავსებით ვერ ამართლებს თავის ნამდვილ დანიშნულებას: მის დანიშნულებას შეადგენს არა მარტო სკოლებზე ზრუნვა, არამედ დღევანდელი მომენტი აუცილებლათ მოითხოვს, რომ განყოფილებამ მოაწყოს სკოლის გარეშე სწავლება და საზოგადოთ იზრუნოს ხალხში კულტურის შეტანაზე.

დაბალი სკოლები დღეს საკმარისათაა გურიაში მათი რიცხვი 160

უდრის. სკოლა თვითეულ სოფელშია, გამგეობა მთავრობის კრედიტს ამ სკოლებში ბევრს ამატებს თავის საშუალებიდან. თავის ხარჯზე ინახავს რამდენიმე კომპლექტს და აგრეთვე ხელ-საქმისა და საფეიქრო განყოფილებებს ამ სკოლებში.

გურიაში 23 უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელია, ამათში 21-ს ინახავს ერობის გამგეობა. გასული წლის ენკენისთვიდან, მათი შენახვა ბევრი უჯდება ერობას, მთავრობა ამ სკოლებზე, გამგეობის შუამდგომლობის თანახმად, ავრცელებს მომატებებს დეკრეტების თანახმად; ძირითად ჯამაგირებისა და სხვა სასკოლო-სამეურნეო ხარჯებს იხდის ერობის გამგეობა.

რომ რამოდენიმედ მაინც შეგვემსუბუქებინა მომზადებულ სახალხო მასწავლებელთა უქონლობის გამო გამოწეული მდგომარეობა, გამგეობამ გასულ წელს მოაწყო სახაფხულო პედაგოგიური კურსები, რომელმაც მისცა გურიის სკოლებს 80 მომზადებული მასწავლებელი, ამათში რამოდენიმე ახალი, დანარჩენი-კი ყოფილი მასწავლებლები. გამგეობას ამ ზაფხულშიაც აქვს გადაწყვეტილი 3-თვიანი კურსების მოწყობა, რაც ყრილობას მოხსენდება ხარჯთ-აღრიცხვის წესით. ჩვენ მოვაწყვეთ აგრეთვე რევიზიის საქმეც, სკოლების მთავარი ინსტრუქტორი ახდენს ამ რევიზიას, მაგრამ არა მარტო რევიზიას, არამედ ის რევიზიის შემდეგ ადგილობრივად თემებში აწყობს მასწავლებელთა მოკლე-ვადიან კურსებს, რასაც ძლიერ დიდი წინშვნელობა აქვს და ნაყოფიც მოიტანა.

გამგეობამ აღძრა აგრეთვე შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა მაზრაში დაარსდეს საოსტატო სემინარიები — ოზურგეთში ძირითადი და ლანჩხუთსა და ჩოხატაურში პარალელური კლასების სახით, რაზედაც მას მთავრობიდან პრინციპიალური თანხმობა უკვე აქვს.

ჩვენ მივიღეთ ჩვენს განკარგულებაში ჩოხატაურის კერძო გიმნაზია და მით უზრუნველყავით მისი არსებობა.

შეიძლება ითქვას, რომ მაზრაში ოთხ-წლიანი საყოველთაო განათლება თითქმის განხორციელებულია. არსებული დაბალი სკოლები თითქმის ყველა სასკოლო ასაკის ბავშვებს იტევს. მეორე ოთხ-წლიანიც, იმედი გვაქვს ადრე გვექნება, ამ ნიადაგზე ვაწარმოებთ მუშაობას, ვარკვევთ სკოლის გარეთ დარჩენილი ბავშვების რაოდენობას, რომ ენკენისთვიდან მათაც მივსცეთ საშუალება სწავლისა.

ამ ეამათ გამგეობის უმთავრესი ყურადღება მიქცეულია სკოლის გარეშე განათლების მოწყობაზე, ეს არის დღეს ცენტრი ჩვენი მოქმედებისა.

ტექნიკური განყოფილების ორგანიზაცია დაიწყო მხოლოდ გასული წლის მაისში. მთელი შტატი შესდგებოდა ინჟინერისა და ტექნიკისაგან. ადრევე აშკარა გახდა, რომ არსებული შტატი ვერ დააკმაყოფილებდა იმ აუარებელ მოთხოვნებებს, რომელიც მოსდიოდა განყოფილებას მაზრიდან. ამიტომ ჩვენ შტატი გავადიდეთ, უმთავრესათ მუშაობა სწარმოებდა საგზო-სამშენებლო დარგში, ხდებოდა ყოველგვარი გამოკვლევა-შესწავლა, მუშავდებოდა ხარჯთ-აღრიცხვა და პროექტები გზებისა, ხიდებისა, სასწავლებლების შენობებისა. ტელეფონის ქსელის მოწყობა, ზომების მიღება თვით ადგილობრივ გზების შესასწორებლათ, მდინარეების კიდე-ნაპირების გამაგრება, წყლის გადაღება, წისქვილების მოწყობა, მდინარეების მოწესრიგება და სხვა.

ერობის ეკონომიური ნაწილის მოქმედების შესახებ მომხსენებელი აცნობებს ყრილობას აგრარული რეფორმების ცხოვრებაში გატარებაზე ერობის გამგეობის მიერ წარმოებულ მუშაობის მსვლელობას. ის ამბობს, რომ რეფორმების პირველი ნაწილი—მიწების კონფისკაცია—გურიაში უკვე დასრულდა, გარდა ორი—გურიანთისა და ნატანების რაიონებისა; ჯერ-ჯერობით ჩამორთმეულია 21 ათასი დესეტინა მიწა, ადრე ამ რაიონებშიდაც დასრულდება ეს მუშაობა და მაშინ სისწორით გამოირკვევა ჩამორთმეული მიწის ფონდი. შიუხედავათ ამისა, ჩვენ უკვე შეუდექით და თითქმის ვამთავრებთ წინასწარ მუშაობას მიწის კერძო საკუთრებათ უმიწაწყლოებზე დასანაწილებლათ, რომ მართლა უმიწაწყლოებს მიეცეს მიწა და არ ჩაუვარდეს ის შეძლებულებს. ჩვენ მოვანდინეთ სტატისტიკური ცნობების შეკრება გურიაში არსებულ მიწათ-მფლობელობისა და მიწათ-სარგებლობის შესახებ. ამ ცნობების დამუშავების შემდეგ ჩვენ დავიწყებთ მიწის დანაწილებას. ამ მიზნით ჩვენ განზრახული გვაქვს გურია 3 რაიონათ დავყოთ, თვითეულ რაიონში იმუშავებს რამოდენიმე კომისია, რომ რამდენადაც შეიძლება ადრე დასრულდეს ეს დანაწილება.

მდინ. რიონის მარცხენა ნაპირების გამაგრების საქმეზე მომხსენებელი ამბობს, რომ გასული წლის 22 ნოემბრის საერობო ყრილობის დავალებით გამგეობამ მოჰკიდა ხელი ამ საქმეს: რიონის ნაპირი უნდა გამაგრებულიყო 32 ვერსის მანძილზე; კომისიის დადგენილებით ეს მუშაობა, გარდა ტექნიკურ ძალისა და ხელმძღვანელობისა, უნდა შეესრულებინა ხალხს უფასოთ. ერობის გამგეობის განკარგულებას ამის შესახებ დიდი სიამოვნებით შეხვდნენ მახლობელ დაინტერესებულ თემების მცხოვრებნი და ყოველ დღიურათ გვაძლევდნენ და გვაძლევდნენ

რამოდენიმე ასობით მუშებს უფასოთ, მუშები ხარჯზედაც თავისაზე არიან, დღიურათ მუშაობს რამოდენიმე ასეული და ხშირათ ათასიც მუშა. 19—20 ვერსის მანძილზე ნაპირი უკვე გამაგრებულია. მთავრობამ ჯერ-ჯერობით მოგვცა ნახევარი მილიონი მანეთი ამ საქმისათვის; ეს ფული იხარჯება ლანჩუთის ქალაქის გამგეობის საშუალებით.

სამეურნეო დარგში გურია დაყოფილია 4 სამეურნეო რაიონათ თვითეულ რაიონში გვყავს ინსტრუქტორები და ტეხნიკები, რაიონებში გავმართეთ საცდელი და საჩვენებელი მინდვრები, მოვაწყვეთ ბევრგან სანერგეები, ავიღეთ ხელში ოზურგეთში არსებული აგრონომიული სკოლა პუნქტით, მოვაწყვეთ აგრეთვე აკეთში აგრონომიული პუნქტი 86 ქვ. სივრცეზე და სხვა, მივაწოდეთ ხალხს სათესლე ხორბალი და ქართოფილი, გვყავს შეაბრეშუმეობისა და შინა-მრეწველობის ინსტრუქტორები და შეძლების ფარგლებში ყოველ გვარ დახმარებას უწევთ მეურნეობის ამ დარგების მიმდევართ. მოვაწყვეთ აგრეთვე ოზურგეთში საღურგლო სახელოსნო, სადაც სპეციალისტი მუშების საშუალებით მზადდება საფეიქრო მანქანები ძლიერ იაფ ფასებში.

მაზრაში არსებობს 3 სავეტერინარო პუნქტი, სადაც არიან ექიმები და ფერშლები, ოზურგეთში-კი, გარდა ამისა, არსებობს ამბულატორია.—სავეტერინარო პერსონალის უმთავრესი მუშაობა გამოიხატება საქონლის ჭირთან ბრძოლაში აცრისა თუ კარანტინის საშუალებით.

ერობის ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ ირკვევა რომ გამგეობას არაა აქვს ჯერ მზათ გასული წლის ხარჯების ანგარიში, ასეთ ანგარიშის წარმოდგენას გამგეობა შესძლებს ხოლო რამოდენიმე თვის შემდეგ, როდესაც გასული წლის ანგარიშები სავსებით დასრულებული იქნება. 1919 წ- შემოსავალ-გასავლის ნუსხის, განხილვიდან სჩანს რომ საანგარიშო წელს ერობის დეფიციტი დაახლოვებით მილიონი მანეთით განისაზღვრება.

უკანასკნელ საერობო ყრილობიდან დღემდე გამგეობის დადგენილების თანახმად მაზრაში დაარსებული შემდეგი 8 ახალი თემი:

1) ოზურგეთის თემი, 2) ხევის თემი, 3) საჭამია-სერის თემი, 4) დიდი-კანის, 5) შუა-სურებისა და 6) ზემო-თავ-სურების თემი, 7) ნიგეზიანის თემი, 8) ჭანჭათის თემი.

თვითეულ ამ თემის საბჭოს ხმოსანთა რიცხვი განსაზღვრულია 20-ით; ბევრ მათგანში მოხდა საბჭოს ახალი არჩევნები, ზოგიერთში კი არჩევნები არ მომხდარა, არამედ საბჭო დროებით შესდგა ამ თემში შე-

სულ სოფლიდან ძველ მთლიან თემში არჩეულ ხმოსნებისაგან. გამგეობა ყველა ამ თემებში არჩეულია და მუშაობაც სწარმოებს.

ამის შესახებ ყრილობამ აზრთა მცირე გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ერთხმად დაადგინა: დამტკიცდეს შემდეგი ახალ დაარსებული თემები: **ოზურგეთის, ხევის, ხაჭამია-სერის, ნიგვზიანის, დიდი-განის, შუასურების, ზემო-სურებისა და ჯანჭათისა.**

სანიტარულ გადასახადის განსაზღვრულ ვადაში აუკრებლობის შესახებ ყრილობამ დაადგინა: მოიხსნას გასული 1919 წ. 22 ნოემბრის საერობო ყრილობის მიერ 18 ივლისის 1919 წ. კანონის მე-16 მუხლის თანახმად, ერთდროული სანიტარული გადასახადის დანიშნულ ვადამდე შემოუტანლობის გამო დაწესებული ჯარიმა გაწერილი გადასახადის 50⁰/₀ სახით იმ პირებიდან, რომლებიდანაც სრულიად შემოსული იქმნება მათზე გეწერილი სანიტარული გადასახადის 1 მაისამდე ამა წლისა.

ნატანებ-ოზურგეთის საერობო გზაზე გადასახადის ტვირთზე ერობის სასაღვებლოთ დაწესებულ გადასახადის გადიდების შესახებ ყრილობამ დაადგინა:

1) გასული 1919 წლის 22 ნოემბრის საერობო ყრილობის მიერ ნატანებ-ოზურგეთის გზაზე გადასახად ტვირთზე ერობის სასარგებლოთ დაწესებული გადასახადი 30 კაბ. გადიდდეს ერთი მანეთითა და 70 კაპეიკით, ე. ი. დაწესდეს ფუთზე ორი (2) მანეთი, 2) ამ გადასახადისაგან სრულიად განთავისუფლდეს შემდეგი პირველ საჭიროების საგნები: მარილი, ხორბლეულობა და ფქვილი, 3) ეს დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი ყრილობის მიერ მიღებისა.

ყრილობამ შეიმუშავა სავალდებულო დადგენილებანი მაზრაში ეტლითა და ავტომობილით მიმოსვლისა და ტვირთის გადაზიდვის შესახებ.

ყრილობამ დაადასტურა გამგეობის დადგენილება ჩოხატაურის კერძო გიმნაზიის ერობის განაკარგულებაში მიღების შესახებ; დაავალა გამგეობას წარმოუდგინოს მორიგ საერობო ყრილობას პროექტი თუ რა ტიპის უნდა დარჩეს ეს საშუალო სასწავლებელი.

სამეურნეო სასწავლებელთა შესახებ ყრილობამ დაადგინა: აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა შემუშავებულ იქნას ერობის გამგეობასთან ერთად ოზურგეთის მაზრისათვის სამეურნეო სასწავლებელთა ქსელი და ამ ქსელის თანახმად ხდებოდეს შემდეგი ასეთ სასწავლებელთა გახსნა მაზრაში.

გაზეთ „გურიის ერობის მოაზრის“ შესახებ ყრილობამ დაადასტუ-

რა გამგეობის მიერ გადადგმული ნაბიჯი ამ გაზეთის შესახებ და დაამტკიცა გაზეთის 1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვა.

შემდეგ ყრილობამ მიიღო შემდეგი ნუსხა გამგეობის 1920 წლის შემოსავალ-გასავლისა:

ხ ა რ ჯ ე ბ ი:

§ 1 მუხ.	2 სამხედრო განყოფ. შენახვა.	145.500 მან.
"	3 სამაზრო მილიციის შენახვა	7.390.628 მან.
სულ § 1		7.536.128 მან.
§ 2	1 გამგეობის შენახვა	608.900 მან.
"	2 ერობის სამდივნო	397.900 "
"	3 სამეურნეო ნაწილი	166.200 "
"	4 ბუჰგალტერია	683.300 "
"	5 სტატისტიკური განყ.	239.500 "
"	6 სარევიზიო კომისიის ჯილდო	10.000 "
"	7 საერობო ყრილობის ხარჯები.	100.000 "
"	8 დღიური და სამიმოსვლო ხარჯები	10.000 "
"	9 დახმარება ერობის მოსამ. გამგ. განკ.	100.600 "
სულ § 2		2.315.800 "
§ 4	1 ტექნიკური განყ. შენახვა	477.100 "
"	2 ახალი გზების გაყვანა	1.963.236 "
"	3 კაპიტალური რემონტი	8.487.289 "
"	4 ჩვეულებრივი რემონტი	5.347.066 "
"	5 გამოკვლევის წარმოება	183.000 "
"	6 დამზად. და რემონტი ისტრ. და სხ.	200.000 "
სულ § 4		11.557.691 "
§ 5	1 სახალ. განათლ. განყოფ.	1,206.700 "
"	2 პირვ. დაწყ. სასწავლ. შენახვა	10.576.192 "
"	3 უმაღლ. დაწყ. სასწავ. შენახვა.	8.307.783 "
"	4 ჩოხატაურის საერობო გიმნაზია	630.885 "
სულ § 5		20.721.560 "

§ 6	„ 1	სოციალური მზრუნველობა .	600.000	„
			სულ § 6 .	600.000 „
§ 7	მუხ. 1	სამკურნალო განყოფ. შენახვა	246.100	მან.
„	2	ამბულატორიების შენახვა	2.545.100	„
„	3	საფერშლო პუნქტების შენახვა	1.050.300	„
„	4	საეპიდემიო რაზმი	183.200	„
„	5	აფთიაქები	2.446.300	„
„	6	მოკლე ვადიანი კურსები ფერშლები	30.000	„
			სულ § 7	6.501.000 „
§ 8	„ 1	სავეტერინარო განყ. შენახვა	245.000	„
„	2	სავეტერინარო ამბულატორია	581.700	„
„	3	საქონლ. ჯიშის გასაუმჯ. პუნქტები	717.000	„
„	4	მოულოდნელი ხარჯები	30.000	„
			სულ § 8	1.573.700 „
§ 9	„ 1	აგრონომიული პერსონალის შენახვა	1.374.500	„
„	2	აგრონ. კაბინეტებ. მოწყ. და შენახვა	594.000	„
„	3	აგრონ. პუნქტების შენახვა	429.460	„
„	4	ღონის-ძიება მებაღეობა-მებოსტნე- ობის გასაუმჯობესებლად	16.000	„
„	5	მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა	127.500	„
„	6	მანქანები და იარაღები	241.000	„
„	7	ხორბლის მოძრავი საწმ. შეძენა	10.000	„
„	8	ბრძოლა მავნე მწერ. და ცხოველებ.	45.000	„
„	9	სკოლის გარეშ. ცოდნის გავრცელ.	100.000	„
„	10	დახმარება სამეურნეო ამხანაგობებს	10.000	„
„	11	მეტერიოლოგ. სადგ. მოწყობა	16.400	„
„	12	თხილის სახმობი ფაბრ. მოწყ. ოზურგ.	106.570	„
„	13	საადგილ-მამულო განყ. შენახვა	1.280.700	„
			სულ § 9	2.816.530 „

§ 11	„ 1	დახმარება ახალ დაარს. თემებს . . .	30.000	„
„	2	ტელეფონის ქსელის ხარჯები . . .	100.000	„
„	3	სუბსიდიები	30.000	„
„	4	გაზ. „გურიი ერობის მოამბი-ს“ ხარჯ.	205.680	„
სულ § 11 . . .			365.680	„

სულ ხარჯები 55.088.090 „

შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი :

§ 2	მუხ. 1	საფუთო გადასახადი	1.200.000	მან.
„	2	საჯარიმო გადასახადი	10.000	„
სულ § 2			1.210.000	„

§ 3	„ 1	დახმარება მთავრობისაგან	23.609.011	„
„	2	ანაზღაურება ხარჯებისა	2.825.000	„
„	3	შემოსავალი სწავლის ფულიდან უმაღ- ლეს დაწყ. სასწავლ. და ჩოხატ. გიმნაზ.	700.000	„
სულ § 3			27.134.011	„

§ 4	„ 1	ჯარიმა და სხ. შემთხვ. შემოსავალი	100.000	„
„	2	გადასახ. ავტომობილზე და ეტლებზე	200.000	„
„	3	მოსაგები ვაჭრობა მრეწ. ოპერაციებ.	14.643.000	„
„	4	ფონდის მიწების გაყიდვისაგან მო- სალოდნელი შემოსავალი	11.645.078	„
სულ § 4			26.588.078	„

§ 5	„ 1	სამრეწვ. და სავაჭრო 2 ⁰ / ₀ გადასახ.	100.000	„
„	2	სააქციზო გადასახ. ღვინოზე	50.000	„
სულ § 5			150.000	„

§ 6	„ 1	ქალაქის მამულებიდან	6.000	„
სულ § 6.			6.000	„

სულ შემოსავალი 55.088.090 „

გორის სამაზრო ერობაში.

ერობამ სავალდებულოთ სცნო მიიღოს მონაწილეობა აღსადგენელ სოფლების დაგეგმაში და ამ მიზნით, მიანდო გამგეობის წევრს ზ. ჯავახიშვილს ადგილობრივ გაეცნოს მოსახლეობის პირობებს, მიწის მზომლების მუშაობას, პროექტების შედგენას და დაესწროს ფაქტიურ დაგეგმის დროს. სოფლის მოსახლეობის საზღვრებში აუცილებლათ შენახულ იქნას ადგილები სკოლისთვის, სამკითხველოსთვის, კოოპერატივისთვის, სოსოფლო ყრილობისათვის, გამგეობა-მართველობისათვის, ეკლესიისთვის და საკმარისი სათადარიგო მიწა მომავალ საზოგადო დაწესიბულებათათვის და მოსახლეობის გასათართობლად. საკალოე ადგილები გატანილ იქნას სოფელ გარეთ. ამთავითვე, დაგეგმვასთან ერთათ, გამოეცხადოს აღსადგენელ სოფლების მოსახლკარეთ. რომ ერთხელვე გამოჰკრილი ეზოები შერე აღარ დაიყოფა, რათა ყოველი კომლის მოსახლეობის ადგილი არ შემცირდეს მერმისში და დარჩეს მთლიანათ.

— ერობას არ მოეპოება ბინა, სადაც შეიძლებოდეს ერობის განყოფილებების და მსახურების მოთავსება. მაზრაში 29 სკოლაა დანგრეული. ყოველივე ამის აღსადგენათ, გამგეობამ დაადგინა: შეუჩერებლათ გაგრძელდეს საკუთარი ძალით ბინების შენება და შეკეთება. ამავე დროს ეთხოვოს მთავრობას საამშენებლო საქმისთვის 50 მილიონი სესხად.

— გამგეობამ დადგინა: ღალის აკრება საფონდო მიწებზე დაევალოს თემებს, ხარჯის ასანაზღაურებლად; დაეთმოს თემებს, თანახმათ იმავე კრების დადგენილებასა 20% აკრებილ ფულისა საფონდო მიწებიდან. მეორე მხრით, რადგანაც სამაზრო ერობასაც. მოუხდება საერთო ხელმძღვანელობა, კანტროლი და ზოგჯერ პირდაპირი ასრულებაც საქმისა იმ თემების მაგიერ, რომელნიც სხვა და სხვა მიზეზით ვერ გაუძღვებიან ამ საქმეს სათანადოთ, და რადგან ყოველივე ეს აუცილებლათ მოითხოვს ხარჯებს სამაზრო ერობისაგანაც, — აღიძრას შუამდგომლობა, რომ სამაზრო ერობასაც დაეთმოს აკრევილ ღალიდან 20%, გარდა იმ 20%, რომელიც უნდა მიიღოს თემებმა, ასე რომ ხაზინას დარჩება სულ 60%, და ერობებს 40%, წინააღმდეგ შემთხვევაში სამაზრო ერობა არ კისრულობს არავითარ პასუხის მგებლობას ამ ფრიად უსიამოვნო და დიდხარჯიან საქმის ასრულებაში.

**თბილისის სამ
მომხმარებელი ბალანსი**

		მანეთი	კ.	მანეთი	კ.
აქტივი.					
1	კ ა ს ა			41773	63
2	სახელდახელო ანგარიშები:				
1	თბილისის ხაზინაში № 139147	47611	97		
2	სახელმწიფო ბანკში № 478	8422	50		
3	სამეურნეო ბანკში № 3331	48041	67		
4	მოსკოვის სახალხო ბანკში № 396	10000	00	114076	14
3	საქონელი:				
1	ეროზის საწყობში				
2	გალუსტოვის საწყობში				
3	ქურდიანთან				
4	ფრიკთან				
5	ღალა				
6	სამეურნეო იარაღები			137279	25
4	ხარჯთ-აღრიცხვა 1919—1920 წ.				
ხარჯების ვარაუდი.					
1	§ I მაზრ. ადმინისტრ. ღ მილიცია	2170695	29		
2	§ II ეროზის მართვა-გამგეობა	1641080	81		
3	§ III საპატიმრო სახლის მოვლა	4937	10		
4	§ IV გზათა აღმშენებლობა	34024	00		
5	§ V სახალხო განათლება	1400210	69		
6	§ VII მედ.-სანიტ. განყოფილება	999373	02		
7	§ VIII სავეტერინარო-სასანიტა- რო განყოფილება	98095	49		
8	§ IX ეკონომიური კათილდღეო- ბის ხელის შეწყ.	411321	52		
9	§ XI სხვა და სხვა ხარჯები	700784	19		
10	§ XIII სათადარიგო თანხა	124561	08	7585183	19
5	დემიტორები:				
1	სხვა და სხვა პირნი და დაწესე- ბულებანი	2516718	84		
2	ანგარიშვალდებულნი პირნი	797001	13	3313719	97
6	ინვენტარი			116144	41
7	წარსული წლის ხარჯები			1282374	67
8	გამოსარკვევი თანხები			28650	76
9	დავირავებული საქონელი			715339	00
ბალანსი				13334541	02

ზრო მროგაში.

1 მარტი 1920 წ.

		მანეთი	კ.	მანეთი	კ.
კ ა ს ი ვ ი .					
1	თანხა ქონებაში და მასალაში			116144	41
2	სამეურნეო იარაღები ერობ. კავ-				
3	შირ. მთავ. კომიტ.			1098090	—
კ რ ე დ ი ტ ო რ ე ბ ი :					
1	სხვა და სხვა პირნი და დაწესებულებანი	1134258	38		
2	ანგარიშვალდებული პირნი	16261	02		
3	საგანგებო სახელდახ. ან-ში ამ. კავკ. ბ. № 91	162442	—		
4	ღალა.	549383	25	1862344	65
შ ე მ ო ს ა ვ ლ ი ს ვ ა რ ა უ დ ი :					
1	§ I ერობის ქონების შემოსავალი.				
2	§ II სხვა და სხვა გადასახადები	614030	46		
3	§ III ერობის დახმარება და დასაბრუნებ. ხარჯ.	4277165	07		
5	§ IV სხვა და სხვა შემოსავალი.	277599	12		
6	§ VI უძრავ ქონებაზე გადასახ. ჯამაგირები (მიუღებელი)	125289	90	5294084	55
5	გარდამავალი თანხა			1655964	22
6	ხაზინაში შესატანი თანხა			581948	17
7	მთავრობის სესხი			253595	00
8	წარსული წლის შემოსავალი:			1223000	—
9	ვარაუდით	745483	62		
1	წარსული წლის სასურსათო	503886	40		
2	ოპერაცია			1249370	02
ბალანსი				13334541	02

უმრავლის სამა

საქმიანი.

ერობის ბალანსი

№	საგნის სახელწოდება.	მანეთი	კ	მანეთი	კ.
1	ან. სალაროსი ერობის სალაროში არის ნაღდი ფული			42311	96
2	ან. სახელდახელო სახელდახელო ანგარიშით ირიცხება ზესტ. ხაზინაში			129	61
3	დებოზიტები ზესტაფონის ხაზინის დებოზიტში ირიცხება ერობის თანხა	66856	68		
	ქიათურის ხაზინის დებოზიტში ირიც- ხება ერობის თანხა	29537	28	96393	96
4	მოძრავი ქონება ერობის ინვენტარის ღირებულება უდ- რის			57494	
5	დებიტორები ერობას ერგება (სხვა და სხვა პირებ. ვალი)	191024	98		
	გაცემულია ავანსი 1 იანვრისთვის	128439	17	319464	15
6	საქონელი. სასურსათო. აღწერილობით არის საქონელი ნაყიდ ფასებში			1232911	09
7	რწმუნებული საქ. შეს. გაცემული რწმუნებულ ავანსათ საქ. შესაძენათ			250000	
8	მოსამსახურეები ირიცხება მოსამსახურეებზე საქონლის და წინ და წინ წაღებულ ჯამა- გირში			12155	76
9	შემოსავლის ხარჯთ-აღრიოხვა მოსალოდნელია კიდევ 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შემოსავალი			4788066	40
	ბალანსი			6798926	93

ზრო პრობაში.

1 იანვრის 1920 წ

პასივი.

№№	საგნის სახელწოდება.	მანეთი	კ.	მანეთი	კ.
1	ქონების თანხა ერობის ქონების ღირებულება 1 იან- ვრის უდრის			57494	
2	თავისუფალი თანხა შემოსული თავისუფალი თანხა, რო- მელსაც არ აქვს რაიმე დანიშნუ- ლება			11874	
3	საპენსიო კასა მასწავლებლების პენსიის თანხა			15053	62
4	სახელმწიფო დაწეს. თანხა ერობას აქვს გადასახდელი სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა თან- ხები			141849	02
5	სხვა და სხვა დეპოზიტები ირიცხება ერობაზე სხვა და სხვა პი- რების ფული რომელიც შემოტა- ნილია შესანახათ			27911	56
6	კრედიტორები ერობას მართებს სხვა და სხვა პირების და დაწეს.	1301966	62		
	მართებს ვექსილებით	16150			
	აენსზედ მეტი ნახარჯი ერგება სხვა და სხვას	4123	12	1322239	74
7	გარდამავალი ირიცხება გამოურკვეველი თანხა პირ- ველ იანვრ.			1958	37
8	გასაცლის ხარჯთ-აღრიცხვა მოსალოდნელია კიდევ 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვის ხერჯები			5220546	62
	ბალანსი			6798926	93

შორანის მასრის ერობის

	წყაროები შემოსავლისა	მანეთი	კაპ.
	ნელოიმკები წარს. წლების	2427018	32
§ I.	სახელმწიფო ფონდის შემოსალიდან	2610000	
§ II.	სხვა და სხვა გადასახადები, (სატრაქტი- რო, სააქციზო, საფუთო)	310000	
§ III.	დახმარება მთავრობიდან	16398111	49
	ერობის დაწესებულებათა შემოსავალი	7001600	
§ V.	სავაჭრო საბუთებიდან, პატენტები და ჯარიმები მოსამართლეთ მიერ და- დებული	20000	
§ VI.	გადასახადები უძრავ ქონებაზე	1280000	
§ VII.	სუბსიდია მთავრობიდან ხიდების გასა- კეთებლად	4000000	
	სესხი მთავრობიდან	9659929	58
		43706659	39

1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

	წყაროები გასაგლისა	მანეთი	კაპ.
§ I.	ადმინისტრაციის შესანახი	6808623	20
§ II.	ეროზის გამგეობის შესანახი	2896720	
§ III.	სატუსალოებისთვის	10000	
§ IV.	სატექნიკო განყოფილება	6793091	
§ V.	სახალხო განათლება	11956296	
§ VI.	საქველმოქმედო ფონდი	250000	
§ VII.	საეკიმო დარგი	2939734	94
§ VIII.	საბეითლო განყოფილება	1307000	
§ IX.	ეკონომიური აღორძინება	3021170	
§ X.	სესხი გადასახდელი	501211	25
§ XI.	სასურსათო ძირითადი თანხა	2000000	
§ "	განსაკუთრებითი უკანას. (მოსალოდ- ნელი სიძვირის გამო დამატებითი).	5222813	
		43606659	39

თემთა ცხოვრება.

წინანდლის თემი. (თელავის მაზრა)

(კორრესპონდენცია)

თემების წარმოშობის პირველ ხანაში ხშირათ ხდებოდა ისეთი არა სასურველი მოვლენა რომ თემი აჭარბებდა თავის უფლებებს. მაგ. თემი ერეოდა მომრიგებელ მოსამართლის საქმეებში და სხვა ამისთანები. ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით და სამაზრო ერობის დახმარებით, თემებმა შეიგნეს თავიანთი მოვალეობა და დანიშნულება. წინანდლის თემმა აღრე და აღვილათ მოიხსნა მომრიგებელ მოსამართლის პატარა საქმეები, როცა წინანდალშივე გახსნა მორიგებელ მოსამართლის დაწესებულება.

ადმინისტრაციული განყოფილება თემიდან გამოყოფილი უნდა იყვეს და თემის კანტროლის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს; ამით უფრო მეტი პატივცემით დაუწყებენ ყურებას მცხოვრებნი თემს. დღეს სათემოში ადმინისტრაციულ განყოფილებას განაგებს ერთ-ერთი გამგეობის წევრი. გარეგანი შეხედულობით თემი წარმოადგენს იგივე ძველებურს საუბნო ბოქაულის კანცელარიას; იგივე ოქმების შეყენება და ხანდახან სიღებიც და სხვა; თემი, ჩემის აზრით უნდა ზრუნავდეს თავის სათემოსთვის ისევე, როგორც მამა ოჯახისა ზრუნავს თავის ოჯახისათვის; თემი ისევე უნდა ზრდიდეს და ამზადებდეს სათემოს მცხოვრებლებს პოლიტიკურ თავისუფლებისთვის, როგორც მამა ზრდის და ამზადებს თავის შვილებს ცხოვრებისთვის; ამიტომ ვამბობ რომ თემის ადმინისტრაცია უნდა იყოს გამოყოფილი თემიდან სრულიად. სასურველია სავსებით ცალკე მოთავსდეს.

წინანდალის თემის არსებობის შემოსავალ წყაროებს შეადგენენ: 1) მოწმობების გადასახადი; 2) განაჩენების შესამოწმებელი; 3) ნასყიდობების შესამოწმებელი. 4) საკლავზედ გადასახადი და 5) საფუთო გადასახადი: მთელი შემოსავალი თემისა ერთი ერთმანეთზე უდრის თვეში 3450 მ. გასავალი უდრის თვეში 21700 მ. რომელიც გამოიხატება შემდეგი ხარჯით:

3 გამგეობის წევრი თითოს 2400—7200 მ. 1. მდივანი თვეში 1920 მ. 1. გადამწერი თვეში—1000 მ. 4. სასწავლებლების დარაჯები თითოს თვეში 960-3840.

3. თემის რწმუნებული სოფლებში თითოს თვეში 1200-3600.
 6. მილიციონერის დამატებითი ჯამაგირები 1700 მ. 1. კანცელარიის
 დარაჯი თვეში 1500 მ. ნავთი, შეშა, საკანცელარიო ხარჯი 1000 მ.

ჯამი . . . 21760 მ.

მაშასადამე შემოსავლის გამოკლებით მუდამ თვე კიდევ აქვს თემს მოსანახი 18310 მ. ამ თვიური ხარჯის დასაფარავად, წინანდლის თემის გამგეობამ თავისი დადგენილებით, ითხოვა 50% სანიტარული გადასახადიდან, რომელიც უდრის 103, 100 მ. ეს ფული ეყოფა ხარჯის დასაფარავათ მხოლოდ ხუთ თვეს და დანარჩენი თვეების დასაფარავად თემმა უნდა გააწეროს თემის მცხოვრებლებზე; ზევით ნათქვამი ხარჯი არის აუცილებელი თვიური ხარჯი, გარდა მოულოდნელისა.

საფუთო გადასახადი მიზან-შეუფერებელია! ხშირად ხდება რომ საქონლის პატრონი, ურემზედ არ არის, ამისთვის ატუსაღებენ ურემს, ვიდრე საფუთო გადასახადს არ მოიშორებს; ასეთი მაგალითიც ხშირია რომ თემის რწმუნებული ახდევინებს საფუთო გადასახადს და თვით ითვისებს, წინანდლის თემშიაც ჰქონდა ადგილი ასეთ არა სასურველ მოვლენას, რისთვისაც რწმუნებული სასწრაფოდ იქნა დათხოვნილი. საფუთო გადასახადი ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს. როცა თემის მილიციონერი უხვდება ურემს საფუთო გადასახადისთვის იწყება ერთი ალიაკოთი, უსიამოვნობა ყვირილი, ლანძღვა გროვდება ხალხი და ყველას სახეზედ კითხურობ უკმაყოფილობას გადასახადის წინააღმდეგ; სასურველია ხსენებული გადასახადი მოხსნილ იქნას. ხშირად ურემებს უხდებათ რამდენიმე თემი გაიარონ.

წინანდლის თემში, ს. წინანდალში, არის შემდეგი დეწესებულებანი: მომრიგებელი მოსამართლე, შემნახველ—გამსესხებელი ამხანაგობა და მოკლე ხანში გაიხსნება ფოსტატელეგრაფის განყოფილება; აკლია მხოლოდ საავადმყოფოს გახსნა: ამის განსახორციელებლად არ იქნებოდა ურიგო შეერთებულიყვენ ურიათუბნის, ვაჩნაძიანის, აკურის და წინანდლის თემები; აგრეთვე საჭიროა თელავის სამაზრო ერობის დახმარებით საერთო ძალით დამთავრდეს ს. ქვემო ხოდაშნის ბოლოზედ დაუმთავრებელი აბამელიქოვისეული შენობა.

ხსენებული ადგილი და შენობა გადასულია ფონდში; შენობა და თვით ადგილი ნამდვილი შესაფერია საავადმყოფოსთვის; შეერთებული ძალით დამთავრება არ იქნება არავისთვის საგრძნობელი; ასეთია დღეს წინანდლის თემის მდგომარეობა.

ჩოხატაურის თემი. (ოზრუგეთის მაზრა)

მიმდინარე წლის 16 აპრილის თემის საბჭოს სხდომამ გამოიტანა შემდეგი დადგენილებანი: სურსათის კითხვის შესახებ: დაევალოს თემის გამგეობას დღესვე მიიღოს შემდეგი სასწრაფო ზომები სურსათის მოსაწოდებლათ. სალსარი კი ამისთვის უნდა გამოთხოვილ იქნას მოკლე ვადიანი სესხის სახით სამაზრო ერობიდან და თემში არსებული კოოპერატივებიდან, კავშირიდან და აგრეთვე კერძო პირებიდანაც. ყოველივე ტენიკური მხარე ამ კითხვისა მოგვარებულ იქნას არა უგვიანეს ორი კვირისა დღეიდან.

საბჭომ შიშინა თემის გამგეობის მოხსენება მისი მუშაობის შესახებ, იქონია მსჯელობა, აღნუსხა ნაკლულევენებები გამგეობის მუშაობისა და უსყრვა გამგეობას მომავალში უფრო მეტი უნარის გამოჩენა ინიციატივა და ნაყოფიერი მუშაობა.

საბჭომ იქონია მსჯელობა გამგეობის და სხვა მოსამსახურეების ჯამაგირების შესახებ და დაადგინა: მოემატოს მათ ჯამაგირები ამა წლის პირველი თებერვლიდან.

მიეცეს თემიდან დახმარება ბუკის-ციხის სკოლის შენობის დასამთავრებლათ, გუთურის და გოგოლვის უბნის—სამივეს ორასი ათასი მანეთი. განაწილება ამ თანხისა მათ შორის ევალება თემის გამგეობას და სასკოლო სექციას.

დიდი-ჯიხაიშის თემი. (ოზრუგეთის მაზრა)

დიდი-ჯიხაიშის თემის ხმოსნებმა დაადგინეს მოსპონ საეკლესიო დღესასწაულები, ვინაიდან ეს იწვევს აუარებელ და არა სასურველ ხარჯებს და ამიტომ მიმართეს მეზობელ თემებს რომ მათაც მხარი დაუჭირონ ამ დადგენილებას დამცხოვრებთაც აუხსნან ზედმეტი უსარგებლობა.

მუხრანის თემი. (დუშეთის მაზრა)

მთავარი ყურადღება თემისა მიქცეულია გზების გაკეთებისა და მის გამაგრებაზე. დადგენილია ახლო ხანში შეკეთდეს ხიდები და ზოგი გზატკეცილი, განსაკუთრებით დაზიანებულია დუშეთის და ქსანის გზები. მიღებულია ზომები სოფელთა სანიტარულ გასაუმჯობესებლათ.

მცხოვრებნი უკმაყოფილონი არიან იმით. რომ სასამართლოსთვის მათ უხდებათ სიარული დუშეთში და მცხეთაში. საჭიროა დუშეთის სამაზრო ერობამ მიაქციოს ამას ყურადღება და დანიშნოს მუხნარში ერთი მომრიგებელი მოსამართლე.

რედაქტორი: სარკდაქცო კალგვა.

გამომცემელი: ერობათა კავშირის კომიტეტი

მიიღება ხელის მოწერა 1920 წლისათვის ორკვირეულ ჟურნალ

წელიწადი პირველი „ერობა“[№] წელიწადი პირველი

ორგანო ერობათა კავშირის კომიტეტისა. ჟურნალი მიზნათ ისახავს ერობის ცხოვრების თეორიულ და პრაქტიკულ საკითხების ყოველ მხრივ გარკვევა-გაშუქებას.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ:

ავალიანი ს., ახალაძე მ., ახობაძე-ტყეაშვილი ს., ბენაშვილი გრ., ბურჯანაძე ვ., გომართელი ივ., გომეზაური ივ., გონჩაროვი ა., გედეგანიშვილი (აგრონომი), დადვაძე მ., დეგლარიანი ს., ელიაშვილი იანაუიხი ვ., კარბელაშვილი ნ. (აგრონ.), კაკაბეიშვილი მ., კონი ს., ლორთქიფანიძე გრ. ლამაური ი., მანდელშტამი მ., მარგველაშვილი ტ., მამამთავრიშვილი გ. ნაკაშიძე (აგრონომი), ანაიშვილი დ., რუსია მ., ქავთარაძე ვ., ქავთარაძე მ., ქარცივაძე მ., ლლონტი ვ., ლლონტი თ., სავარელიძე მ., სოგორაშვილი გრ., სულაქვილიძე კ., სულაშვილი დ., სტურუა ი., სმიტინაძე მ., ტომოვეევი ს., შენტგელაძე ლ., ჭანტუაშვილი ს., ჭიჭინაძე მ., ტყეველი მ., შარაშიძე ჩ., ჯაფარიანი ა. და სხვანი.

რედაქცია იმყოფება: რუსთაველის პრ. № 24
ერობათა კავშირის კომიტეტის ბინა.

581
1920

ფასი 15 მანეთი.